ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

ღლონტი ნინო

# XXI საუკუნის თანამედროვე ქართული ხელოვნების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ ვახო ბუღაძისა და ლევან ხარანაულის შემოქმედების მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი მაია ციციშვილი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

**თბილისი**

**2019**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Cultural Heritage and Modernity

Nino Glonti

# Regarding some tendencies of XXI century modern Georgian Art on the example of Vakho Bughadze and Levan Kharanauli's works

The work is performed to acquire a master's degree in Art History and Theory

Thesis Supervisor Maia Tsitsishvili,
Associate Professor

**Tbilisi**

**2019**

# სარჩევი

შესავალი .....7

თავი I

1.1 ვახო ბუღაძის ადრეული პერიოდის ნამუშევარი ,,ჩაძირული'' .....9

1.2 სერიები ,,კენტავრის სიყვარული'' და ,,სხეულის თავგადასავალი''.....13

1.3 ,,თბილისის იპოდრომი'' .....18

1.4 არაკლასიკური ,,პოპ არტი''.....30

1.5 გამოფენა ,,ერთი-ორი'' 2017.....31

თავი II

ლევან ხარანაულის შემოქმედება ..... 37

დასკვნა .....47

ბიბლიოგრაფია .....50

ილუსტრაცია ვიზუალური მასალა .....52

# ანოტაცია


თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ტენდენციები შეინიშნება. უნდა აღინიშნოს,რომ ეპოქალური ძიების პროცესი და თანამედროვე გარემო, კი უფრო მრავალფეროვანს, კონცეფციურად უფრო დატვირთულს და სიღრმისეულს ხდის ხელოვნებას.

XIX საუკუნიდან მოყოლებული ისტორიული კონტექსტის მიუხედავად, ქართველი ხელოვანი საზოგადოება აქტიურად იღვწოდა და ახერხებდა, როგორც ხელოვნების განვითარებას, ასევე დისტანციურად, საკუთარი თვალსაწიერიდან ეპოქალური დრამის, ისტორიის გამოხატვას და გამოსახვას. განსაკუთრებით საყურადღებოა მხატვართა ის თაობა, რომელიც თბილისის ხელოვანთა წრეებსა თუ სივრცეებში, სწორედ 1980-90 წლებში გამოჩნდნენ და დღეს-დღეობითაც განაგრძობენ მოღვაწეობას. სწორედ ეს მხატვრები უახლესი ისტორიის გზაზე ახერხებდნენ *„მივიწყებული წარსულის და აქტუალური აწმყოს გაცოცხლება რესტავრაციას"* და ისტორიული, სოციალური თუ პოლიტიკური კონტექსტის მიუხედავად ხელოვნების განვიათარებას და ახალი სიტყვის თქმას.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება მოცემული (1980-90წლების) პერიოდის ხელოვანების ვახო ბუღაძისა და ლევან ხარანაულის შემოქმედებას, მხატვრების, რომელთა ნამუშევრები ემოციურად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს შემფასებელზე, მათ მოახერხეს ახალი სიტყვის თქმა და გამოხატვის ისეთი ფორმის მოძებნა, რომელიც მკვეთრად ასახავდა მათ ინდივიდუალიზმს და დამოკიდებულებას ხელოვნების ნაწარმოების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ხელოვანებს კარგად იცნობს თანამედროვე ქართული მხატვრობით დაინტერესებული საზოგადოება, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ შესახებ ფაქტობრივად არ არსებობს სამეცნიერო კვლევა, სახელოვნებო კრიტიკა და მხატვრული თუ შემოქმედებითი ანალიზი. ნაშრომის მიზანია მოცემული მხატვრების სხვადასხვა პერიოდში შესრულებული, რამდენიმე გრაფიკული და ფერწერული სერიის განხილვა, მათი მხატვრობის თავისებურებებისა და მახასიათებლების გამოვლენა, პარალელების მოძიება სხვა თანამედროვე და წინამორბედი მხატვრების ნამუშევრებთან მიმართებით, შემოქმედების სიღრმისეული კვლევა და გაანალიზება,

როგორც თანამედროვე ქართულ, ასევე თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში.

# Annotation

Quite interesting and important tendencies are observed in modern Georgian Art. It should be noted that the epochal process of searching and modern environment makes Art even more diverse, conceptually more meaningful and deep.

Since XIX century in spite of the historical context, Georgian society of artists actively worked and managed to develop art, as well as remotely, to express and depict epochal drama, history from their point of view. Especially noteworthy is the generation of artists who appeared in artists' circles or spaces of Tbilisi in the 1980-90s and continue their work even nowadays. Exactly these artists on the road of recent history managed "to revive - restore forgotten past and the actual present" and to develop art and to say new word despite historical, social and political contexts.

The Master's thesis deals with the works of artists of present period (1980-90 years), Vakho Bughadze and Levan Kharanauli, the artists whose works emotionally impress appraisers, they managed to say a new word and to find such a form of expression, which clearly reflected their individualism and their attitude towards the work of art.

Although these artists are well known by the society interested in modern Georgian Art, we should note that in fact there are no scientific researches, art criticisms, and artistic or creative analysis about them. The aim of the thesis is to review some graphic and scenic series, performed by these artists in different periods, to identify their characteristics and traits, find parallels with the work of other contemporary artists or their predecessors, in-depth creativity research and analysis, in modern Georgian as well as in modern world Art context.

# შესავალი

თანამედროვე ხელოვნება მრავალფეროვანი, მრავალგანზომილებიანი, თუმცა ვფიქრობ, რომ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე სფეროა, რომელიც თანაარსებობს ახლანდელ დროსა და სივრცეში. *,,ფილოსოფიურ პარადიგმებს მორგებული არტი''* [1] [ ბორის გროისი.2001] სპეციფიკური მანერით, თავად საუბრობს საკუთარ არსებობასა და მეთოდებზე.

თანამედროვე ქართულ მხატვრობაში, ძალიან საინტერესო ტენდენციები და პროცესები შეინიშნება, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საწყის ეტაპზე სწორედ მის განვითარებას დიდი წინააღმდეგობები ახლდა თან, რაც გამოწვეული იყო XIX-XX საუკუნეში არსებული ისტორიულ-პოლიტიკური ფონით, რომელიც სრულიად ახალ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს ისტორიაში. ქართულ კულტურასა და ხელოვნებაზე, მნიშვნელოვნად ზემოქმედებდა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ თავს მოხვეული იდეოლოგია, რამაც რასაკვირველია დიდი გავლენა მოახდინა მხატვრული ნაწარმოების, როგორც სიუჟეტზე, ასევე თემატიკაზე. ზოგიერთი ხელოვანი მოექცა იდეოლოგიური გავლენის ქვეშ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეპოქალური ფონის მიუხედავად, ქართულ ხელოვნებას თვითმყოფადი სახე არ დაუკარგავს და უფრო მეტიც ახერხებდა თანამედროვე გარემოსთან და ხელოვნებასთან ზიარებას და განვითარებას. სწორედ, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მხატვართა ის თაობა, რომელიც თბილისის სამხატვრო სივრცეში 1980-90-იან წლებში გამოჩნდა და დღესაც აქტუალურია. მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდის ხელოვანების შემოქმედება, ფაქტობრივად თავისუფალია იდეოლოგიური თვალსაზრისით, არტისტების დიდი ნაკადი ისწრაფვოდა, რომ გამოესახა და ასახვის ობიექტად ექცია ეპოქალური დრამა, თუმცა თანამონაწილეობის გარეშე, დისტანციიდან დაეფიქსირებინათ, კულტურული ცხოვრების, ეპოქალური უმნიშნელოვანესი მოვლენები.

[1] ბორის გროისი, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი ,,არილი'' №6 ,თბილისი 2001, გვ 27-29

80-90 წლების თაობიდან პირადად ჩემთვის, ერთ-ერთი გამორჩეულია სამაგისტრო ნაშრომში განხილული მხატვრების, ვახო ბუღაძისა და ლევან ხარანაულის შემოქმედება, რომელშიც ვფიქრობ, რომ შეინიშნება და იგრძნობა სიახლის შემცველი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების ძიების პროცესი, მცდელობა თანამედროვე კულტურისა და ხელოვნების ათვისებისა და შეცნობის. ორივე მხატვრის შემოქმედება აერთიანებს ცხოვრებისეულ მოგონებებს, შთაბეჭდილებებს, შეგრძნებებს, გონებაში დალექილ განცდებს, აბსტრაქციის ზღვარზე მყოფ ტრანსფორმირებულ სახე-ხატს ცხოვრებისა, ამრავალფეროვნებს გარემომცველ ატმოსფეროს და შეჰმატებს ჰარმონიულ წესრიგს.

ვფიქრობ, რომ ეს არის ის თაობა, რომლებიც გამოირჩეოდნენ და დღემდე გამოირჩევიან ხელოვნების მიმართ განსაკუთრებული, ინდივიდუალური დამოკიდებულებით და ისწრაფვოდნენ თანამედროვე დასავლური მხატვრული ენისა და ვიზუალური ხელოვნების ათვისებისკენ, ცდილობდნენ მიმდინარე ეპოქალურ პროცესებთან ზიარებას, საკუთარი ხედვის წარმოჩენას და ადგილის დამკვიდრებას თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების რუკაზე.

# თავი I

## 1.1 ვახო ბუღაძის ადრეული პერიოდის ნამუშევარი ,,ჩაძირული”

XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი სრულიად ახალ ეტაპს წარმოადგენს ქართული კულტურის ისტორიაში. იმ პერიოდში, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში აღმოჩნდა, ცვლილებები მოხდა ქვეყნის, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ, ამავდროულად კულტურულ სფეროებშიც. რუსეთის უხეში ჩარევა საქართველოს შიდა პოლიტიკაში საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის თვითმყოფადობას და აკნინებდა, როგორც კულტურულ, ამადვროულად ტრადიციულ გარდატეხას. ოფიციალური სფეროებიდან ქართული განდევნილი იქნა, მოხდა მოსახლეობის იძულებით გარუსება, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ საკითხს, რომ რუსეთი ცდილობდა თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა და განემტკიცებინა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. როგორც, უკვე აღვნიშნე, იმპერიაში შესვლამ ცვლილებები გამოიწვია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, შეიცვალა თემა და რეპერტუარი, რამაც ასახვა ჰპოვა, როგორც სხვადასხვა ქალაქთა ხუროთმოძღვრულ იერზე, ასევე სახვით ხელოვნებაზეც.

ზოგადად თუ საბჭთა პერიოდს მოკლედ მიმოვიხილავთ კვლავ, ხაზი უნდა გავუსვათ, იმ ფაქტს, რომ ისტორიულ და კულტურულ ჭრილში ეს ეპოქა ერთ-ერთ დრამატულ პერიოდს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნისათვის, შესაბამისად რთული იყო მხატვრული ფორმებით გადმოსაცემად. საუკუნეების განმავლობაში სწორედ, არსებული პრობლემა თან სდევდა საქართველოს და ქართულ სახელოვნებო სივრცეებს. თუმცა აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ *,,ეპოქალური ცვლილებების გავრცელების ველში ჩვენ მარტო არ ვიყავით, მსგავსი პროცესები სხვადასხვა სპეციფიკური მახასიათებლებით მთელ ყოფილ სოციალისტურ სივრცეს ეხებოდა და ზოგჯერ ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ გეოგრაფიულ წერტილებშიც სრულიად იდენტური ამბები ხდებოდა“ .*[2] [

[2] ხათუნა ხაბულიანი, სადისერტაციო ნაშრომი „ვიზუალური ნიშნების ტრანსფორმაცია: მხატვრული ფორმები და კონცეფციები პოსტმოდერნისტული ხელოვნების ქართულ ვერსიაში“, ქ.თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016 წელი

ხ.ხაბულიანი 2016:] არტისტების დიდი ნაწილი ემორჩილებოდა დამკვეთთა პირობებსა და მოთხოვნებს, ნაწილი კი საკუთარი *,,ვიზუალური ქრონიკიდან და თვალსაწიერიდან ახერხებდა ეპოქალური დრამის, ისტორიის გამოხატვა გამოსახვას ".* [3] [ხ.ხაბულიანი 2016:]

მიუხედავად ჩემ მიერ, ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნეების განმავლობაში სახელოვნებო სივრცეებში და ზოგადად ქართველ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი, ინდივიდუალისტური დამოკიდებულება ხელოვნებისა და ზოგადად კულტურის მიმართ, სწორედ ამ ეტაპის ხელოვანთა დიდი ნაკადი ცდილობს, რომ გამოსახოს და ასახვის ობიექტად აქციოს ეპოქალური დრამა (ომი, სოციალური გარემო და ა.შ) ზოგადად ეპოქა ერთგვარად ასახვის ობიექტად, ინსპირაციად იქცა ხელოვანებისათვის, ისინი ცდილობდნენ ყურადღება მიექციათ, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ინტენსიური ნაკადისთვის და თანამონაწილეობის გარეშე, დისტანციიდან დაეფიქსირებინათ, კულტურული ცხოვრების, ეპოქალური უმნიშვნელოვანესი მოვლენები. *,,მოვლენები, რომლებიც მართალია შეიძლება სრულიად ვერ აჩვენებდნენ ეპოქალურ სახეს, თუმცა ახერხებდნენ მათ რესტავრაციას".* [4] [ხ.ხაბულიანი 2016]

თანამედროვე მხატვრებს შორის უახლესი ისტორიის გზაზე სწორედ ხელოვანი საზოგადოება იღვწოდა, რომ მოეხერხებინა *,,მივიწყებული წარსულისა და აქტუალური აწმყოს გაცოცხლება რესტავრაცია",* [ხ.ხაბულიანი 2016] ისინი საკუთარი ინდივიდუალისტური ხედვიდან, დისტანციიდან მოვლენებზე დაკვირვების შედეგად ახერხებდნენ საზოგადოებისათვის მხატვრული ნაწარმოების მიწოდებას, ისე, რომ მათ ცნობიერებაში შექმნილ ტილოს ყოველთვის გარდატეხა მოეხდინა მათ მსოფლმხედველობასა და აღქმაზე. სწორედ, ინდივიდუალისტური ხასიათის და

---

[3] ხათუნა ხაბულიანი, სადისერტაციო ნაშრომი „ვიზუალური ნიშნების ტრანსფორმაცია: მხატვრული ფორმები და კონცეფციები პოსტმოდერნისტული ხელოვნების ქართულ ვერსიაში", ქ.თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016 წელი.

[4] ხათუნა ხაბულიანი,რეცენზია ,,ვახო ბუღაძის სერია ,,იპოდრომი'' - ისტორია და მეხსიერება ფერწერაში,ქ.თბილისი, 2014 წელი.

ხელწერის მქონე მხატვრების შემოქმედება არის განმაპირობებელი იმისა, რომ მიუხედავად მწვავე ისტორიულ-კულტურული  და პოლიტიკური ფონისა  ქართული მხატვრობა კვლავ განაგრძობდა განვითარებას და ეპოქალური  დრამა, მხოლოდ ასახვის ობიექტი ხდებოდა მისთვის.

ორი ათეული წლის შემდეგ უკვე არსებობს გაცნობიერებული გამოცდილებების ისტორია და ინტერესიც გაჩნდა კრიზისული წლების უკვე დროითი დისტანციიდან დასანახად. თითქმის ერთმანეთის მიყოლებით მოეწყო გამოფენები 1980 თუ 1990-იანების თემებზე, რომელთაც შესაძლოა სრულად ვერ აჩვენეს ხსენებული პერიოდებისა და მათში მოქმედი არტისტული ენერგიის გადაკვეთის მომენტები, მაგრამ უახლესი ისტორიის გააზრების გზაზე მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს აღნიშნავს ხათუნა ხაბულიანი. [ხ.ხაბულიანი 2016]  სწორედ ამ ეტაპიდან და პერიოდიდან იწყება იმ ახალი თაობის მხატვრების შემოქმედებითი სვლა, რომლებიც დღემდე აქტიურად მუშაობენ და ქმნიან თანამედროვე სახვითი ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს.

ზოგადად ვფიქრობ და მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე ხელოვნება საკმაოდ რთული, მრავალფეროვანი და მრავალგანზომილებიანი ფენომენია, როგორც თავისი არსით ასევე ფორმით. მიმართულება, რომელიც ხშირად არამყარ, ურთიერსაწინააღმდეგო იდეებზე არის დაფუძნებული. ეს არის ეპოქა, როდესაც არტისტი მოცემულ ,,კონტექსტს'' (ამ შემთხვევაში მოცემულ საგანს) გადმოსცემს, არა ვიზუალური ქრონიკიდან, არამედ ქვეცნობიერიდან. იყენებს და არ ერიდება სხვადასხვა ხერხს ნამუშევრის სრულყოფისათვის, არღვევს რეალობის ილუზიას და მოქმედებს მხოლოდ გონებითა და ფანტაზიით.  რაც რასაკვირველია, ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ხელოვნების ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ნივთი, ნებისმიერი ხერხით შესრულებული მხატვრული ნაწარმოები, თუ ხელოვანი მას ამ სახით მოაწოდებს მაყურებელს.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ეპოქალური, ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალური  გარემო, ყოველთვის ზემოქმედებს და გავლენას ახდენს ხელოვნებაზე იდეის, კონტექსტის და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.  სწორედ  მრავალი მწვავე წინააღმდეგობებით და ტრაგიკული მოვლენებით დატვირთულმა გარემომ,

ამავდროულად ტექნიკურმა პროგრესმა, საზოგადოებაში ფილოსოფიური მოძღვრებების განვრცობა-გავრცელებამ ძლიერ იმოქმედა თანამედროვე ხელოვნების, როგორც ხასიათზე, სპეციფიკაზე და იერ-სახეზე, ასევე ხელოვნებაში სიახლეთა გაჩენის განმსაღვრელი ფაქტორიც გახდა.

ვფიქრობ, რომ თანამედროვე ქართული მხატვრობის ერთ-ერთი გამორჩეული მიმდევარი და არტისტია ვახო ბუღაძე, რომელიც ცნობილია თავისი ფერწერული ნამუშევრებით. მხატვარი, რომლის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ,,დროს'' სწორედ დრო ეხმარება მას კონკრეტული ისტორიების, ამბების, მოგონებების ტრანსფორმაციაში, სწორედ *,,დროის დისტანცია აპოვნინებს მას ნახატის ფორმას, ფაქტურას, მასალას''* [5] [NARGIS GEORGIA:2015] ფაქტობრივად ყოველი მის მიერ შექმნილი ახალი სერია, ცხოვრებისეული ამბების, მოგონებების შთაბეჭდილებების შეგრძნებების, მეხსიერებაში დალექილი განცდების ანარეკლი და სახეა, თუმცა ეს არ არის კონკრეტული ისტორიები, ეს არის აბრტაქციის ზღვარზე მყოფი ტრანსფორმირებული სახე-ხატი ცხოვრებისა.

მხატვარი აღნიშნავს, რომ ,,ბევრი ცხოვრების რგოლია, რომელიც გადაჯაჭვულია, გადაბმულია ერთმანეთზე, რაც გონებაში შემორჩენილი შეგრძნებების, მოგონებების აზრების ვიზუალურ სახე ხატს ქმნის''.[6] [ვახო ბუღაძე]

მხატვრის ნამუშევრები სერიებად იყოფა, სხვადასხვა თემატიკის დიდი ტილოები მართლაც, რომ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე (პირადად ჩემზე). ის აღნიშნავს, რომ ხატვის დაწყებამდე პირველად თემებზე ფიქრობს, შემდგომ გამომსახველობით ხერხებზე და საშუალებებზე, რომ თემას ხორცი შეესხას, იყენებს ყველა ხერხს ნამუშევრის სრულყოფისათვის, რაც კარგად იგრძნობა და ჩანს მის შემოქმედებაზე.

ხელოვანისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდა ისეთი ახალი სიტყვის თქმა და გამოხატვის ისეთი ფორმის მოძებნა, რომელიც რაც შეიძლება მკვეთრად გამოხატავდა მის ინდივიდუალობას, მაყურებლის ეპატაჟის სურვილი, ნოვატორული ფორმების

[5] NARGIS GEORGIA, ნარგის საქართველო. თბილისი, 2015. გაზაფხული, N2, გვ.126-130
[6] ვახო ბუღაძე

დაძაბული ძიებები. ჩემი აზრით ის მთელ სიყვარულს, ემოციას  და გრძნობას აქსოვს თავის ნამუშევრებში და ალბათ სწორედ ამიტომაც  აღიქმება ყოველი მისი ტილო განსაკუთრებით ემოციურად.

ბუღაძის შემოქმედების სრულყოფილად  შესწავლამდე და განხილვამდე მინდა აუცილებლად აღვნიშნო და გამოვყო, მხატვრის ადრეული ფერწერული ტილო, **„ჩაძირული”**, (ილუსტრაცია №1) რომელიც დასამახსოვრებელი ხდება, როგორც კომპოზიციური, ამავდროულად  ფერწერული გამომსახველობის გამო. გაცვეთილ, დანაოჭებულ, დიდი ზომის  პაპირუსის მსგავს ფირფიტაზე გამოსახულია  ადამიანის ფიგურა, რომელიც დიაგონალურად ფარავს სასურათე სიბრტყეს, ერთი შეხედვით ადამიანის სხეული თითქოს მთელი ექსპრესიით აქვს გამოსახული, მაგრამ ამავდორულად  მსუბუქი ჰაეროვანი და მოდუნებულია. თითქოს მიენდო წყლის დინებას, მართლაც მიემართება კვლავ უკიდეგანო, უსასრულო  ამოუცნობ სივრცეში. წყალი კი სიმბოლურად ჩემი აზრით ასოცირდება სიცოცხლესთან, უმანკოებასთან, ცოდვებისა და ცდუნებებისგან განწმენდასთან და განბანვის სიმბოლურ დატვირთვასაც შეიძლება იძენდეს. ადამიანის სხეული მოდუნებულია, მთავარი დატვირთვა  ენიჭება სწორედ, რომ  სხეულს რომელიც თავისუფლდება, რომელიც შორდება ამ წუთისოფელს, რომელიც მიემართება ირეალურ სივრცეში, უკიდეგანო, ამოუცნობ სამყაროში, სამყაროში რომელიც განსხვავებულია, რომელიც არ ჰგავს ამ წუთისოფლის ყოფას. რა საინტერესოა რატომ გამოსახა მხატვარმა  ადამიანი მსგავსი ფორმით? იქნებ სიმბოლურად დატვირთვა  კომპოზიცია? როგორი ექსპრესიულია მარცხენა კუთხეში გამოსახული ტერფი და მარჯვენა კუთხეში გამოსახული ხელის მტევანი, თითქოს ეს დეტალი კრავს სურათს. თითქოს ასოცირდება ჩემთვის უფლის ჯვარზე გაკვრასთან, ჯვარცმასთან, რომლის დროსაც სიცოცხლემ გაიმარჯვა  და დათრგუნა სიკვდილი იგი.

## 1.2 სერიები „კენტავრის სიყვარული” და „სხეულის თავგადასავალი”

როდესაც  ვახო ბუღაძის  შემოქმედებაზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მხატვრის მიერ მითოლოგიურ  თემაზე შესრულებული ნამუშევრები. ერთ-ერთმა გალერისტმა მხატვრებს ოლეგ ტიმჩენოს და ბუღაძეს  თემები შესთავაზა. ვახომ

- კენტავრების თემა აიღო, ოლეგ ტიმჩენკომ კი აირჩია პომპეი. ვახომ აკვარელში იმუშავა და ბევრი ექსპერიმენტი ჩაატარა, მასშტაბური ზომის სურათების ძირითადი თემა ეს არის ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი - კენტავრის გმირი -კენტავრის მიერ ქალების მოტაცების თემა, რომელიც ოდითგანვე  პოეტთა და მხატვართა ინსპირაციის წყარო იყო. სწორედ ამ სიუჟეტით დაინტერესდა ხელოვანიც, მან ყურადღება გაამახვილა  მოტაცებასა და სასჯელზე, ქალისა და მამაკაცის ფიგურებზე, ეცადა  მარტივად, მაყურებლისათვის უფრო ადვილად აღსაქმელად შეექმნა ნაწარმოები. როგორც აღვნიშნე მხატვარი ყურადღებას ამახვილებს მოტაცებასა და სასჯელზე. მითოლოგიურ თემებზე შესრულებულ ამ გრაფიკულ კომპოზიციებში ავტორს მთელი სიმძაფრით აქვს გადმოცემული ისტორია, თითოეული კომპოზიცია ექსპრესიით არის გამსჭვალული, სწრაფი მანერით შესრულებული ხაზობრივი მონასმები, თითქოს უფრო თვალშისაცემს, უფრო დაძაბულს, უფრო მძაფრ ხასიათს ანიჭებს ნახატს.  ავტორს ხაზგასმულად აქვს გადმოცემული სიუჟეტი. (ილუსტრაცია №2) კენტავრის მიერ ქალის მოტაცება. ცენტრალურ ნაწილში წარმოდენილი კენტავრის სხეული, რომელიც მკვეთრი ფერის  კონტურით აქვს შემოსაზღვრული, აქცენტირებულია კენტავრის მკლავის სიძლიერე, გულ-მკერდის ნაწილი მასიური, შტრიხობრივი მანერით არის შესრულებული, საკმაოდ იდუმალი და ამავდროულად თითქოს შემაშფოთებელია მისი სახე, რომელიც ფაქტობრივად არ იკითხება მკვეთრი შავი ლაქის ფონზე, კენტავრს ხელთ ქალის სხეული უპყრია, რომლის ზედა ნაწილი ქაოტური, უხეში, შტრიხობრივი მონასმებით არის შესრულებული, რაც შეიძლება მის სულიერ მდგომარეობაზე მიუთითებდეს, რა მოსაზრებასაც ჩემთვის აძლიერებს თავად ქალის სახე. კომპოზიცია თითქოს ერთდროულად მშვიდ განწყობილებას გვიქმნის და ამავდროულად ქაოტურიც არის, რაც ვფიქრობ  მიიღწევა ნახატის ზედა და ქვედა რეგისტრებზე წამოდგენილი მონასმების გამოსახვით.

შედარებით უტრირებულია, როგორც ქალის ასევე კენტავრის სხეულის გამოსახულება. (ილუსტრაცია №3)  მხატვარი ძალიან საინტერესოდ გამოსახავს კენტავრის სახეს უხეშად, ყოველგვარი ესთეტიკის გარეშე, პირიქით ცდილობს, რომ ნათლად აღწეროს ის სინამდვილე, ის სახე, რომელიც მისთვის არის დამახასიათებელი. კენტავრი,

რომელსაც ზურგზე ჰყავს მოგდებული ქალი, კენტავრი, რომელიც ჩადის დანაშაულს, აუბედურებს ქალს, ძალადობს მასზე... ნათლად არის გადმოცემული სიუჟეტი.

ჯგუფური გრაფიკული კომპოზიცია. (ილუსტრაცია №4) მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფურ კომპოზიციაში, რასაკვირველია, მთავარი თემა არის ქალის მოტაცება, აქ თითქოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ემოცია ან უბრალოდ საწყისი არის გამოსახული და წარმოდგენილი, მარცხენა კუთხეში კენტავრი თითქოს ადამიანის სახითაა გამოსახული. მისი პოზა, სახის გამომეტყველება თითქოს იდუმალების, უიმედობის, სასოწარკვეთილების შთაბეჭდილებას გვიქმნის, რაც შეიძლება ხაზს უსვამდეს მოტაცების და სასჯელის სიმბოლურ არსს. ამ შთაბეჭდილებას და განცდას კი უპირისპირდება მარჯვენა ზედა კუთხეში გამოსახული კენტავრის სახე ქალის სხეულით ხელში, რომელსაც თითქოს გონება აქვს დაკარგული და ემორჩილება უემოციოდ მის ხვედრს.

სხეულის თავგადასავალი - ,,ხელოვანმა უნდა გააფართოვოს თავისი ეროტიკული მსოფლხედველობა, ხელოვანი ეროტიკული უნდა იყოს'' ვფიქრობ, რომ მხატვარმა უნდა მოახერხოს და მაყურებლამდე მოიტანოს არა მარტო სათქმელი, არამედ ემოციაც. მოახერხოს შინაგანი სამყაროს გაშლა, ქვეცნობიერის სააშკარაოზე გამოტანა და იდეათა სრულყოფილად წარმოდგენა. შესაძლებელია ხელოვანმა ვერ მოახერხოს ახალი სიტყვის თქმა, მაგრამ მოძებნოს გამოხატვის ისეთი ფორმა, რაც ხაზს გაუსვამს მის თვითმყოფადობას, შეძრავს მაყურებელს, გაუჩენს ფიქრის შესაძლებლობას, ზემოქმედებას მოახდენს მის ქვეცნობიერზე, გაუჩენს ემოციას, აზრს, ასოციაციას.

ვახოს თითოეული ნამუშევარი თითქოს გითრევს, არ გაძლევს მოდუნების საშუალებას, გიტყუებს ღრმა ფიქრებში, გცდის, სააშკარაოზე გამოაქვს ყოველი დალექილი, მივიწყებული თუ უბრალოდ უარყოფილი აზრი, სურვილი, წარმოდგენა..

ის ხელოვანია, ხელოვანი კი ეროტიკული უნდა იყოს. ავტორი გრძნობათა იმპერიას, ,,სხეულის თავგადასავალს" არტ ობიექტად აქცევს - ეროტიკული, ინტიმური და ამავე დროს ვნების აბსოლუტურად უკონტროლო საწყისების სინთეზი. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს არ არის ზღვარგადასული, გაზვიადებული ან უბრალოდ უხამსი ვიზუალური წარმოდგენა. ეს არის მხატვრის ხედვა, ხერხი, გადმოსცეს არა მხოლოდ ქალსა და

მამაკაცს შორის წუთიერი ვნება, ინტიმი, აქტი, არამედ ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, იმ მოვლენას, რომ მათ შორის სიყვარული და ვნება ერთ-ერთი უდიდესი კავშირია. ვფიქრობ, რომ სწორედ უბრალოება, განსხვავებულობა, ინდივიდუალიზმი და უნარი ქვეცნობიერის და გრძნობითი ორგანოების წვდომის გამოარჩევს ვახოს სხვა მხატვრებისგან. (ილუსტრაცია №5, №6,№7)

ზოგადად, არტისტის მიერ, ნახატში წარმოდგენილ ყველა დეტალს, ვფიქრობ, სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. ალბათ, სიმბოლიკა ყოველთვის გვეხმარება სასურათე კომპოზიციის, იდეის, კონცეფციის და ზოგადად არსის შედარებით მარტივად აღქმაში. ჩვენ შევიმეცნებთ, აღვიქვამთ და განვიხილავთ ყოველი მხატვრის მიერ შექმნილ ნაწარმოებს, გვიჩნდება ასოციაციები, წარმოდგენები, შეხედულება, რაც ჩემი აზრით საფუძველია ნახატის სრულყოფილად აღქმისთვის. რა თქმა უნდა, ვახოს შემოქმედებაშიც იგრძნობა სიმბოლური ენით მეტყველება, მისი ჩართვა შემოქმედებაში. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია, ნამუშევარი 2012 წლის სერიიდან სახელწოდებით ,,გასეირნება პურის მოედანზე'' - ,,ღამე'' (ილუსტრაცია №8). თბილისური არქიტექტურული კომპოზიციის ფონზე მთავარი ყურადღება ენიჭება ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილ ძაღლების გამოსახულებას. გარემო მელანქოლიურია, თითქოს მოცულია წყვდიადით, ქუჩის განაპირა ზოლი არქიტექტურულ კომპოზიციას უკავია. ყოველი ნაგებობა, ადგილი, თითქოს ისტორიას აცოცხლებს, გვამცნობს მარტოსულად დარჩენილი ძაღლების ამბავს, რომლებიც პატრონის გარეშე მიმოფანტულან ქუჩის ნაპირას, რომელთა გამომეტყველებაში იგრძნობა სევდა, მწუხარება, მონატრება. მხოლოდ აქა-იქ შეიგრძნობა ვარსკვლავების ბზინვარება. თითქოს ყველაფერმა ფერი იცვალა... ყველაფერი მიეჩვია მარტოსულობას, მელანქოლიას... მხოლოდ ძაღლები დარჩნენ ერთგულად და ელოდებიან პატრონის გამოჩენას. მხატვარი ხაზს უსვამს გარემოს, მხატვრული ენის, წერის მანერის წყალობით კი გვიქმნის მელანქოლიურ, მარტოსულობის განცდას და სიუჟეტს - დაბურული ფონი, საგნების და ელემენტების დენადი გამოსახვის მანერა, ჰარმონიული, ხშირ შემთხვევაში დაუკონკრეტებელი დეტალები და ელემენტები ქმნიან ერთობლიობას, განცდას, ხასიათს, რაც აღქმისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

*მართლაც თუ რაოდენ დიდად უყვართ და რაოდენ ერთგულები არიან ჩვენი ოთხფეხა მეგობრები თავიანთი პატრონების ...,, ძაღლი ერთადერთი არსებაა დედამიწაზე რომელიც უშუალოდ უყურებს თავის ღმერთს''* [7] [ჯეკ ლონდონი].. ,,სხეულის თავგადასავალი'' (ილუსტრაცია №9, №10) - ერთგულების, მეგობრობის სიმბოლო, რომელიც არ ღალატობს თავის პატრონს, გრძნობს მას და მის არსებობას და რომელიც მზად არის მისთვის სიცოცხლე გასწიროს. ლაქობრივი მანერა, მსუყე და ამავდროულად ჰარმონიულად დენადი ფერწერული მონასმი, თითქოს ხაზს უსვამს ყოველი დეტალის მნიშვნელოვანებას, მკვეთრი, ხშირად დაუკონკრეტებელი სახეები, თითქოს გულის სიღრმემდე აღწევს, მოქმედებს ემოციურ ფონზე და სრულიად განსხვავებულ სამყაროში გადაყავს მაყურებელი.. ზოგადად ემოციური მეტყველების მანერა იგრძნობა მხატვრის თითოეულ ნამუშევარში, ის თითქოს სწორედ ემოციის მეშვეობით ამყარებს კავშირს მაყურებელთან და მოქმედებს მასზე.

ჩემთვის ერთ-ერთი ემოციურად გამორჩეული ტილოა ,,ფეხმძიმე ქალის პორტრეტი'', (ილუსტრაცია №11,№12) რომელიც შეხედვისთანავე გვახსენებს, საუბრობს ქალის როლზე ამ სამყაროში. ხაზს უსვამს ქალურ საწყისს, მის სინაზეს და გვამცნობს მის სიძლიერეს. უნარს და შესაძლებლობას საკუთარ სხეულში, საკუთარ თავში მეორე სიცოცხლის არსებობისა. ზოგადად ქალის კულტი ისევე, როგორც იკონოგრაფიაში, ასევე ხელოვნებაშიც ოდითგანვე თვალშისაცემია. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ფრესკული მხატვრობა, საეკლესიო არქიტექტურის შიდა სივრცეს ამკობდა, დეკორატიული ფუნქციის გარდა მას შემეცნებითი მნიშვნელობაც გააჩნდა. გამოსახულებები ტაძრების კედლებზე ერთგვარად „ხილული ბიბლიის“ მნიშვნელობას იძენდა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ახალი და მოხერხებული ფორმა იყო. ღვთისმშობელი, როგორც ,,დედა ღვთისა'' ყოველთვის ასახვის საგანი და ობიექტი იყო მხატვრებისათვის. ჯერ კიდევ გენიალური იტალიელი მხატვრის, რაფაელ სანტის ქმნილება - "სიქსტის მადონა" მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში რენესანსული მხატვრობის სწორუპოვარ ნიმუშად რჩება. იქნებ ვახოც დედა ღვთისმშობელს გამოსახავს? თავისებურად? ინდივიდუალური მანერით? უბიწო

[7] ჯეკ ლონდონი

ღვთისმშობელს ნაყოფით? მიუხედავად იმისა, რომ  არ ვიცი კონკრეტულად ვინ გამოსახა მხატვარმა,თუმცა ვფიქრობ, ვინც არ უნდა ყოფილიყო აქ, მთავარი არის ქალის, როგორც წმინდა, ძლიერი არსების და ქალის როგორც მომავალი დედის როლი. ვახოს მხატვრული მანერა განსხვავებულია, ის ქმნის არა მხოლოდ განსხვავებულ მხატვრობის ნიმუშებს, არამედ ახერხებს  განსხვავებული მანერით, ხერხით გადმოსცეს სათქმელი, ხშირ შემთხვევაში თუ დავუკვირდებით ნახატის არამკვეთრი ფონი, დაუკონკრეტებელი ფორმა, დაკარგული, თუმცა აბსტრაქციის ზღვარზე მყოფი ხელოვნების ნიმუშები მაინც დიდ გავლენას ახდენს მაყურებლის ფსიქიკურ მდგომარეობასა და ემოციურ ფონზე, ერთმანეთში ჰარმონიულად შერწყმული კოლორიტი, ფორმა, ფონი, ემოცია იძლევა იმ მხატვრულ მანერას, იმ მხატვრულ სახეს, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ვახოს შემოქმედებაში. ის გვანდობს, გადმოგვცემს ცხოვრებისეულ ისტორიებს, რომლებიც ამბებად იკინძება და გვიტოვებს იმ განცდას, იმ ემოციას, რაც რეალურად ერთ-ერთი უპირველესი და უმნიშვნელოვანესია ნახატის აღსაქმელად.

## 1.3 ,,თბილისის იპოდრომი“

თუმცა ისტორიები ნელ ნელა ქრება, უფერულდება, ფერმკრთალდება.. მხოლოდ მოგონებები ილექება გონებაში და ნელ-ნელა პოულობს ადგილს... წამით დაფიქრება და წარსულში  დაბრუნება ყოველ ჯერზე აცოცხლებს თითოეულ გაუფერულებულ და გაფერმკრთალებულ ამბავს.  ვახო ყოველთვის განსხვავებული ხერხით და მანერით ახერხებს საკუთარი  ისტორიების, ამბების გაცოცხლებას და მაყურებლამდე კონცეფციის და იდეის მიტანას. ასეთივე განსხვავებული და საინტერესოდ გადმოცემულია ,,თბილისის იპოდრომი'', რომელიც 90-იანების მელანქოლიურ ხასიათს ატარებს და მხატვრის შთაგონების წყაროდ იქცა. იპოდრომის სერიიდან პირველ რიგში გამოვყოფდი ფერწერულ ტილოს ,,მუზეუმი'' (ილუსტრაცია №13). სასურათე სიბრტყის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია  ცხენების ფიგურები, რომლებიც მხატვარს თხელი სისქის საყრდენებზე ყავს გამოსახული. ცხენების ფიგურები თითქოს აბსტრაგირებულია, კარგავს ფორმას და სახეს, მაგრამ ეს არის აბსტრაქციის ზღვარზე მყოფი ფერწერა, რომელიც აძლევს მაყურებელს

შესაძლებლობას თავად განავრცოს, თავად მოუფიქროს და წარმოიდგინოს ისტორიის დასაწყისი ან დასასრული. ცხენები თითქოს ყალყზე შემდგარან, თითქოს მძაფრად მოძრაობენ, თითქოს ცდილობენ რაღაცას შეეწინააღმდეგონ... ნელ-ნელა კარგავენ ფორმას, უფერულდებიან... ამბებიც ფერმკრთალდება, თუმცა ისტორია ყოველთვის ილექება მეხსიერებაში და მათი გაცოცხლება ნებისმიერ მოგონებას ძალუძს.

,,ჟოკეი''(ილუსტრაცია №14) - რა საინტერესოა როგორც ცდილობს მხატვარი გადმოგვცეს და დაგვანახოს ცხენის და მხედრის ხასიათი, მათი დამოკიდებულება... მათი განცდები... პირველად, როდესაც ეს ნამუშევარი ვნახე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კომპოზიციამ, რომელშიც იგრძნობა დინამიკა, ექსპრესია, მცდელობა იმისა, რომ მაყურებელმა ბოლომდე შეიგრძნოს მხედრის და თავად ცხენის განწყობა, მათი სიძლიერე, მათი ბობოქარი, მღელვარე ხასიათი... როგორც ცდილობს მხედარი თავის ცხენთან ერთად გაიჭრას რადიკალურად განსხვავებულ სივრცეში, გარემოში, რომელიც სრულიად არ ასოცირდება და არ ავლენს კავშირს რეალური ყოფის სახესთან. სივრცეში, რომელიც თითქოს წყვდიადით არის მოცული, თუმცა შეიძლება ეს წყვდიადი სრულიად ახალი სიცოცხლის და ისტორიის დასაბამი და დასაწყისი გახდეს... ისტორიის, რომელიც თავისუფლებასთან ასოცირდება.. კოლორიტი კი უფრო ამძაფრებს და უფრო იდუმალებას სძენს ნახატს, ფერით ვიბრირება, გადასვლა და ერთმანეთში ჰარმონიულად დენადი კოლორიტი და ფორმა, მხატვარი არ ცდილობს ჩემი აზრით დამოუკიდებლად გამოსახოს ფერი და კომპოზიციური ფორმა, თითქოს, ცდილობს შექმნას ერთიანობა, ის დინამიკა, რომელიც ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პუნქტი და დეტალია მხატვრობის აღსაქმელად, მაყურებელი აღიქვამს სურათს განუყოფლად, აქ არ არის დამოუკიდებლად არსებული და კონტექსტიდან ამოვარდნილი დეტალები თუ ელემენტები, ყოველი მონასმი, ყოველი ფორმა უაღრესად დიდი ემოციით, ღრმა ფიქრით არის განმსჭვალული და ქმნის ერთიან სახე-ხატს, რაც ეხმარება მაყურებელს რომ დარჩეს პირისპირ თავის წარმოდგენებთან, ისტორიებთან და შესაძლებლობას უქმნი ყოველი აღქმული და ნანახი კადრი გააცოცხლოს თავის გონებაში, წარმოსახვაში და მისცეს, როგორც აზრს, ასევე ემოციას უკიდეგანო გასაქანი..

ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ნამუშევარია ,,მატა ჰარი“ (ილუსტრაცია №15) არქიტექტურული ნაგებობებით დაცხრილულ ფონის თავზე, სასურათე სიბრტყის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ეროტიკული ცეკვების შემსრულებელი, კურტიზანი ქალი მძაფრ მოძრაობაში. ქალი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ერთ - ერთი ჯაშუში გახლდათ. რომელსაც ფრანგულმა სასამართლომ 1917 წელს დახვრეტა მიუსაჯა. ფიგურა, რომელიც არ არის კონკრეტიზირებული, თუმცა იგრძნობა დინამიკა, სიმძაფრე, ექსპრესია... სხეული ნელ-ნელა კარგას ფორმას, ფონი საკმაოდ მონოტონურია, იგრნობა სიმშვიდე და ჰარმონია, რასაც ნაწილობრივ უპირისპირდება ფიგურის ექსპრესიულად გამოსახული სხეული, რომელიც ძალიან თავისუფლად, ჰარმონიულად იჭრება ფონში. სწრაფი, უხეში მონასმი, დაუკონრეტებელი, არა აქცენტირებული ფორმა, მხატვრისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეტყველო ხერხია, ის ცდილობს შემოიტანოს მეტი დინამიკა, მეტი სიმძფარე მაგრამ არა ზღვარგადასული, სწორედ ეს მხატვრული ხერხები ეხმარება მხატვარს, როგორც გამოსახოს, ასევე შესძინოს ნახატს მეტი თავისუფლება, მეტი დინამიკა და ექსპრესია... ის იჭრება სივრცეში, როგორც თავისუფლების, გამბედაობის და სიძლიერის სიმბოლო. ბობოქარი, ვნებით აღსავსე გამბედავი ქალი, რომელიც სილამაზის, დახვეწილობის და სიმამაცის სიმბოლოდ იქცა, რა თქმა უნდა სწორედ მონასმის ხასიათი, კოლორიტის ბუნდოვანება, თეთრი ათინათები, რომლებიც გარშემოუყვებიან ქალის სხეულს, არქიტექტურულ დეტალებს, განაპირობებს ნახატის ხასიათს. თითქოს, მაყურებლამდე მოაქვს სიძლიერის, სითამამის და თავისუფლების განწყობილება.

უნდა აღვნიშნო, რომ ვახოს ნამუშევრები გარკვეულწილად ოპ-არტის მიმართულებასთან ამჟღავნებს კავშირს, თუმცა ვფიქრობ, რომ მის მიერ ნახატში ჩართული და გამოყენებული ელემენტები არ არის წმინდად ,,ოპ-არტისეული''. აქაც იგრძნობა გარკვეულწილად ზღვარი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვახოს ნამუშევრებში ილუზია, როგორც საწყისი ოპტიკური ხელოვნების აღქმისთვის, ერთგვარად გამოწვეულია სიბრტყეზე არსებული ხაზების, შტრიხების, თეთრი ათინათებისა და წერტილების ჩართულობით. ასევე, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მისი ამ რიგის ნამუშევრები არ წარმოადგენს და არ არის წმინდა ოპტიკური ხელოვნება, რასაკვირველია ეს არის რაღაც ზღვარზე მყოფი, არა ილუზიად ქცეული არტი, არამედ

ნახატი, რომელშიც, რათქმა უნდა, ჩართულია ოპტიკური ნიშნები, თუმცა, იკითხება ნამუშევარი და იგრძნობა მხატვრის თხრობის მანერა.

ოპ არტთან მიახლოებული ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია ფერწერული ტილო ,,მხედრიონს და ყველა მარადიულ მხედარს''. (ილუსტრაცია №16) სასურათე სიბრტყის ცენტრში გამოსახულია ცხენზე ამხედრებული მხედარი, რომელიც თითქოს სიბრტყის უკანა რეგისტრში, უკანა პლანზეა მოქცეული. წერტილოვანი, წრიული ფორმის თეთრი ათინათები, თითქოს ეკვრის სასურათე სიბრტყეს, ერთი შეხედვით, მე პირადად გამიჩნდა წარმოდგენა, რომ თითოეული გეომეტრიული ფორმა ნელ მოძრაობაშია, თითქოს იღვენთება, ჩამოედინება ქვედა რეგისტრისკენ, გარკვეულწილად, აქაც მხატვარი, ვფიქრობ, გვანიშნებს, ხაზს უსვამს ორ გარემოებას, წერტილოვანი ბადის მიღმა სამყაროს, ამოუცნობ, დაბურულ გარემოში შეჭრილ, ცხენზე ამხედრებულ მხედარს, რომელიც მიღმიერ სივრცეშია გაჭრილი და მაყურებელს, რომელიც სასურათე სიბრტყის მიღმა იმყოფება. თითოეული წერტილი ბარიერია, გამყოფია, ზღვარია მაყურებელსა და ნახატს შორის.

ცხენი მძაფრ მოძრაობაშია, თითქოს მისი პოზა, წერტილოვანი დეტალები უფრო მეტ ექსპრესიას სძენს ნამუშევარს. იგრძნობა სიცოცხლე, დინამიკა, სურათი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, რაც კოლორიტის, ფუნჯის მსუყე და ამავდროულად ჰაეროვანი, ნაზი, გადაწყვეტით და კოლორიტის დახვეწილი და მეტყველი ხასიათით არის გამოწვეული. მხატვარი არ ცდილობს კონკრეტული ისტორიების კოპირებას, როგორც აღვნიშნე, მისთვის მთავარია, ნახატმა იმოქმედოს მაყურებელზე, გაუღვივოს ემოცია და დააფიქროს. თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ნახატში არ არის აქცენტირებული და დაკონკრეტებული კომპოზიციის სახე, სხეული. თითოეული დეტალი ზედმიწევნით, მაგრამ კონკრეტიზაციის გარეშეა შესრულებული. ცხენის სხეული, სასურათე სიბრტყის ფონი, ზედმიწევნით არის დამუშავებული. ჰაეროვანი, ფაქიზი, მაგრამ მსუყე მონასმით შესრულებული ტილო განსაკუთრებულად მეტყველია და ემოციურია კოლორიტის წყალობით. კომპოზიცია ერთიანია, მიუხედავად წერტილოვანი დეტალების და ,,ბარიერების'' არსებობისა, რომელიც აღვნიშნე. ვფიქრობ, შეუძლებელია თითოეული დეტალის ცალკე

დამოუკიდებლად აღქმა, რადგან სწორედ ეს თითოეული დეტალი ქმნის იმ ერთიანობას, რომელიც ასე თვალშისაცემია მოცემულ კომპოზიციაში.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბუღაძის ნამუშევრები გარკვეულწილად ოპ-არტის მიმართულებასთან ამჟღავნებს კავშირს, თუმცა ვფიქრობ, რომ მის მიერ ნახატში ჩართული და გამოყენებული ელემენტები არ არის წმინდად ,,ოპ-არტისეული'' აქაც იგრძნობა გარკვეულწილად ზღვარი. ხაზი უნდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ ვახოს მოცემული ნამუშევრები გარკვეულ მსაგვსებას განიცდიან ოპ-არტისა და კინეტიკური ხელოვნების მიმდევარი ფრანგი მხატვრის ჟან პიერ ვაზარელის Jean-Pierre Vasarely -ის რამდენიმე ნამუშევართან, წერტილოვანი გეომეტრიული დეტალები, სწორედ, რომ საფუძველია ოპტიკური ილუზიებისა. ვაზარელის მოცემულ ნამუშევარშიც (ილუსტრაცია №17) თვალშისაცემია სასურათე სიბრტყეზე წრიული ფორმის გეომეტრიული დეტალების გამოყენება, რომელიც თითქოს მთელ სასურათე სიბტყეს მიუყვება და ისევე როგორც ვახოს ნამუშევარში, აქაც ერთგვარი ზღვარი, ერთგვარი ბარიერი არსებობს ნახატის უკანა პლანზე მოცემულ ფიგურასა და მაყურებელს შორის... მიღმიერი წარსულის ყოფა და ბადისებრი დაფარვის მიღმა რეალური სამყარო. ვფიქრობ, ორივე მხატვრის მთავარი მიზანია ურთიერქმედება ილუზიასა და ნახატის სიბრტეს შორის. შემეცნებასა და ხედვას შორის. სწორედ ამ ილუზიის აღქმას და შემეცნებას მხატვარი ანდობს მაყურებელს, ზოგადად ხომ ყოველი თანამედროვე მხატვარი ცდილობს, რომ სათქმელი მიანდოს მაყურებელს დაუტოვოს, მისცეს ფიქრის შესაძლებლობა, გაუზიაროს ცოდნა, სათქმელი, აზრი თუ კონცეფცია.თითოეული ჩვენგანი განსხვავებულად აღიქვამს ყოველ ტილოს, თითოეულს უჩნდება საკუთარი ინდივიდუალისტური შეხედულება, აზრი, დამოკიდებულება. აზრთა ეს სხვადასხვაობა და წარმოსახვის უნარი კი შესაძლებლობის გვიქმნის ვეზიაროთ, შევიცნოთ, გავიაზროთ და მივიღოთ მხატვრის მიერ ნახატში ჩადებული იდეა, აზრი, ჩაქსოვილი ემოცია. ბევრი ასოციაცია გვიჩნდება, თითოეულ აზრს ისეთ სიღრმეებში მივყავართ, რომ ფაქტობრივად სრულად ვიჭრებით ნახატში. სწორედ ეს ახასიათებს ვახოს შემოქმედებას. მთლიანად გითრევს, ცდილობ დაუკივირდე, გაიაზრო ყოველი დეტალი, ყოველი აზრისგან თუ ფიქრისგან შექმნა ჯაჭვი, რომელსაც მთავარ სათქმელამდე მივყავართ. პირადად მე, როდესაც მის შემოქმედებას ვუყურებ მოდის

უაღრესად დიდი ემოცია, პირველი წყარო, პირველ შთაბეჭდილებას სწორედ ემოციური, მგრძნობელობითი ფაქტორი ტოვებს და უკვე შემდეგ ვიწყებ და ვცდილობ სრულად სიღრმისეულად გავიაზრო, დავუფიქრდე ნახატს, სწორედ მსგავსი ასოციაცია მოიტანა, მსგავსად იმოქმედა ჩემზე ტილომ ,,უფლისწულის დაბადება''(ილუსტრაცია №18) ვერტიკალურად გამოსახული ხაზების ფონზე, ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ახალშობილი კვიცი, დაბნეული, თითქოს მარტოსული, რომელიც გაუბედავად, ჯერ კიდევ, არამყარად დგას ამ ქვეყანაზე, თითქოს მოწყვეტილია მშობლიურ სივრცეს. ეშინია, არც კი იცის რომელ მხარეს წავიდეს, სასოწარკვეთილია და მიკედლებულა ,,გისოსებს'' მიღმა - შიშისგან თითქოს დამფრთხალია ან იქნებ გაქცევა უნდა? მაგრამ საით წავიდეს? რა საინტერესოა როგორც ცდილობს მხატვარი სიმბოლური დატვირთვა მიანიჭოს ყოველ დეტალს, ალბათ, სწორედ ეს ვერტიკალური ხაზობრივი მანერით მეტყველება უფრო მძაფრს ხდის სურათს, ხაზს უსვამს კვიცის მარტოსულობას, ის მოწყვეტილია სივრცეს, შორიდან კი დასცქერის განყენებულად მდგომი ,,დიდი ცხენი'' , რომელიც განსხვავებულია,რომელიც წასულია იმქვეყნად...,, კვიცი თითქოს იკრებს ძალას ცდილობს შეიჭრას ახალ სამყაროში და მყარად დაიკავოს სადგომი. რა საინტერესოდ აქვს მხატვარს გამოსახული კვიცის სხეული, უკან ფეხები,რომლებიც თითქოს ჯერ კიდევ ჰაერში გამოკიდებულა, მყარად არ დგანან დედამიწაზე. რბილი, ფაქიზი კოლორიტი და ჰაეროვანი ხატვის მანერა, ფერთა გრადაცია, ვარდისფერი ფერის ჰარმონიული შეხამება შედარებით მკვეთრ კოლორიტთან, შუქ-ჩრდილის თამაში, ვერტიკალური ხაზების ხასიათი, თითოეული ხაზი თითქოს მეტყველია, თითქოს იღვენთება და ჩამოედინება მთელ კედელზე.

,,გალუბკა'' (ილუსტრაცია №19)- დიაგონალურად გამოსახული ბობოქარი, სწრაფი, მოუხეშავი მანერით და მონასმით შესრულებული ცხენის სხეული, თეთრი ათინათები, დამპალი ლეშის ასოციაციას გვიქმნის. სხეულის ფერი, სიჭრელე, ცივი კოლორიტი, თამამი, სწრაფი უხეში მონასმი, უფორმო, თითქოს მჭლე გაფუჭებულ ლეშს გვაგონებს. ფონიც დაცხრილულია წითელი უხეში მძიმე ხაზობრივი შტრიხებით, რომლებიც თითქოს გადაედინება სხეულის ფონზე, თითქოს ხაზს უსვამს სისხლს, აქცენტს აკეთებს ფიგურაზე, ამოუცნობი, ფორმა დაკარგული სხეული..თითქოს იგრძნობა ერთგვარი ტკივილი. თამამი მონასმი, ზღვარგადასული სიმძაფრე, მხატვარი ცდილობს ფერის,

კოლორიტის წყალობით გვაგრძნობინოს ეს სიმძაფრე, ცივი ნაცრისფერი, ბაცი ცისფერი, ოდნავ მოლურჯო ათინათები უფრო ამძაფრებს, უფრო მეტ დინამიკას და ექსპრესიას სძენს ნამუშევარს, განსაკუთრებულად მეტყველია მარცხენა ზედა კუთხის ფონი, რომელიც სხეულის, ტყავის, ხორცის შთაბეჭდილებას გვიტოვებს... სწრაფი, თამამი, ცივი მონასმი... აქ თითქოს პერსონიფიცირებულია და ხაზგასმულია თავად ცხენის ისტორია, ცხენის, რომელმაც თითქოს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ზოლები სისხლს განასახიერებს, სიმბოლურად უფრო ამძაფრებს და მეტი დრამატიზმი და სევდა შემოაქვს ნახატში.

ასეთივე მელანქოლიური, სევდიანი, მაგრამ ამავდროულად უაღრესად ემოციური, თბილი და სევდანარევია ვახოს კიდევ ერთი ნამუშევარი ,,მეჯინიბის სიყვარული''(ილუსტრაცია № 20) - ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია ახალგაზრდა ქალის სხეული, მის გვერდით კი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის სხეული თითქოს ერწყმის, გადაედინება სასურათე სიბრტყეში, იჭრება ღია ვარდისფერ კოლორიტში. განსაკუთრებულად მძაფრია ქალის გამომეტყველება, მისი სახე, მხატვარი ცდილობს წარმოაჩინოს ქალის ხასიათი, წინა პლანზე წამოსწიოს მისი, უკდურესად თეთრი სხეული, სავსე ფორმები და მისი გამომეტყველება, რომელიც მოწყვეტილია ამ სამყაროს, ის სიამოვნებას განიცდის, მისი სულიერი მდგომარეობა სცდება მიღმიერ სამყაროს, მაგრამ ცდილობს მოეჭიდოს სივრცეს, რომელიც ვერტიკალურად, თხელი დენადი ფორმის ხაზებით არის დაყოფილი, განსაკუთრებულად მეტყველია მამაკაცის გამომეტყველება, თვალები, რომლებიც არ აღიქმება, წერის სწრაფი მანერით შესრულებული სახე, ამ სიმძაფრეს და დაძაბულობას კი უფრო ხაზს უსვამს კოლორიტი, ღია ნაცრისფერი, სწრაფი მონასმი, დაუკონკრეტებელი ნივთები და ფორმები, რომლებიც თითქოს სინანულით, მწუხარებით არიან მოცულნი. მეჯინიბე, რომელიც ეჭიდება ქალის სხეულს, შესცქერის მას. კოლორიტი ფაქიზი, ღია ტონალობების გრადაციით არის შექმნილი, აქა იქ მკვეთრი აქცენტები, სასურათე სიბრტყის ხაზობრივი დანაწევრება, მარჯვენა კუთხეში მკვეთრი მოყავისფრო ტონი, ღია ცისფერი და ვარდისფერი ათინათები, დაუკონკრეტებელი სხეულის ფორმები, ყველაფერი ეს ქმნის მეტყველ, გრძნობით განმსჭვალულ, ნახატის სახეს, ხასიათს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მაყურებლის ემოციაზე.

,,მეჯინიბის ოთახი“ (ილუსტრაცია №21) მძაფრი ემოციით და ზღვარგადასული დინამიკით არის შესრულებული მეჯინიბის ოთახი. მოძრავი, დინამიური, ლაქობრივი მონასმები, რომლებიც ფონად ეკვრის ნახატს, ამ ხერხით მხატვარს მეტი სიცოცხლე შემოაქვს ნახატში, მეტი ემოცია, უფრო ცოცხალია, ექსპრესიული, რასაც მეტად აძლიერებს ცენტრში წარმოდგენილი ქალის ფიგურა, რომელიც შიშველია. სხეულის პოზა, ფორმები, მკვეთრი, მჟღერი კოლორიტი ქმნის დინამიურ სახეს. აქცენტირებულია ქალური სინატიფე, სისადავე, სილამაზე, მნიშვნელოვანება, სახასიათო, თავისუფალი მსუყე მონასმი, ქაოტურად მიმობნეული ლაქობრივი ათინათები, სწორედ ეს ყველაფერი უფრო მოძრავს ხდის ნამუშევარს და უფრო მეტი თავისუფლება და ამბოხი შემოაქვს ნახატში.

ბუღაძე ბავშვობაში დახურულ ბაზართან ცხოვრობდა შემდეგ გადავიდა გლდანში, სადაც მათ ბინა მიიღეს. სწორედ ამ პერიოდში გლდანში ახალი მშენებლობა იყო დაწყებული და მხოლოდ რამდენიმე კორპუსი იდგა - სერია გლდანი, მხატვრის გონებაში, მოგონებებში ჩაძირული, დალექილი განცდების და ემოციების სახე-ხატია. ნისლში ჩაძირული -გაფანტული კორპუსები, სივრცე, რომელიც თითქოს ფარგლებს სცდება, რომელიც იკარგება ბინდში, სამყარო, რომელიც სრულიად არ ჰგავს ძველი თბილისის ურბანულ სახეს, უფრო ტრანსფორმირებულია, უფრო იდუმალი, ამოუცნობი. თითქოს მკაცრი, მაგრამ სადა, ჰაეროვანი, თითქოს ყოველი მონასმი, ყოველი კონტური თუ გამოსახულება ერთდროულად აერთიანებს მოგონებებს, ცხოვრებისეულ ტკივილს და ბედნიერებას. ბავშობის კადრებს, ემოციას, ნამუშევრებში იგრძნობა სინატიფე, სისადავე, ის ერთდროულად იტევს მოგონებას, ფანტაზიას და დროს. დროს რომელიც ეხმარება ავტორს ტილოზე გადმოიტანოს თავისი ემოცია, განცდა, რომლის გადააზრებას სწორედ დღევანდელი გადმოსახედიდან ახერხებს.

სარკმლებით დაცხრილული კოპრუსის ფონზე მხატვარს გამოსახული აქვს ახალგაზრდა მამაკაცის სახე, რომელიც თითქოს წარსულიდან გადმოსცქერის მაყურებელს. ან იქნებ უბრალოდ მიდის? ქრება? სცილდება ამქვეყნიურ ყოფას? ნელ-ნელა იკარგება ? უფერულდება? იჭრება სარკმლებით დაცხრილულ კორპუსში და მისგან მხოლოდ მკვეთრი, ლაქობრივი მონასმიღა რჩება? განა უმნიშვნელოდ ჰყავს მხატვარს მამაკაცი წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი სარკმლის ფონზე? იქნებ,

ამითაც ხაზს უსვამს წუთისოფლის წარმავალობას? იქნებ ამითაც მიგვანიშნებს ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრების მნიშვნელობაზე? ზღვარზე, ან უბრალოდ გამოსახავს მამაკაცს, რომელიც წარსულიდან გადმოგვცქერის და გვახსენებს ძველ ისტორიებს, ამბებს, შეგრძნებებს. ყველას ხომ თავისი ასოციაცია უჩნდება, მოგონება, განცდა, რომელიც შეიძლება ერთ კონკრეტულ ისტორიას არ ეხებოდეს, თუმცა ბევრს ერთად აერთიანებდეს და იწვევდეს ნოსტალგიას, რომელიც როგორც ვიზუალურად ასევე ემოციურადაც ახდენს გავლენას. ( ილუსტრაცია№22)

ვახოს ნამუშევრებში ფონი ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს პირადად ჩემზე, როგორც თვითონ აღნიშნავს *,,საწყის ეტაპზე თემატიკაზე ფიქრობს, შემდგომ გამომსახველობით საშუალებებზე, რომ თემას ხორცი შეესხას და ყველა ხერხს იყენებს ნამუშევრის სრულყოფისათვის''* [8], რაც იგრძნობა კონკრეტულ კომპოზიციაში. ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონასმების ტილოზე გამოსახვით ის თითქოს ქმნის სიღრმის ილუზიას, ცდილობს, რომ საზღვრებს გასცდეს. გაგვიყვანოს უფრო ღრმა სამყაროში, მოგვცეს დაფიქრების შესაძლებლობა, გაგვახსენოს ჩვენი კონკრეტული მოგონებები და გვიჩვენოს გზა, რომელიც ამ მოგონებებამდე მიგვიყვანს. მრავალსართულიანი კორპუსი მკვეთრი კონტურით აქვს შემოსაზღვრული. მხატვარს, კორპუსის თითოეულ სართულზე ზოგან ნათელი ფერის ოთახები აქვს გამოსახული, ზოგან კი ოთახები წყვდიადით არის მოცული. როდესაც პირველად ვნახე ნამუშევარი გამიჩნდა ასოციაცია, წარმოდგენა თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო თითოეული სახლი, როგორ გამოსახავდა და გადმოგვცემდა მხატვარი თითოეული ოთახის სახეს, ვინ ცხოვრობდა ამ კორპუსში? რატომ იყო წყვდიადით მოცული? და ა.შ .მრავალი ასოციაცია გამიჩნდა, ასოციაცია, რომელიც ბევრი ფიქრის შესაძლებლობას მაძლევდა.

ცაზე გამოსახული მოვარდისფრო, მოყვითალო, მოცისფრო ფერის ათინათები უფრო ნათელს ხდის ნამუშევარს, იდუმალებას სძენს, ხოლო ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების ერთმანეთთან გადაკვეთა (კვადრატული შრტიხები, მონასმები) პირადად ჩემი აზრით, კვლავ ხაზს უსვამს ზღვარს ორ ყოფას შორის. (ილუსტრაცია №23)

[8] ექსპერიმენტის გზა, ჟურნალი ბომონდი,თბილისი 2012 (1987-510) №10,გვ 48-50;

კომპოზიციის მარჯვენა კუთხეში გამოსახული საბაგირო გზა, რომელიც მინიმალური გამომსახველობითი ხერხით არის შესრულებული. თითქოს წარმოადგენს დამაკავშირებელს წყვდიადსა და ნათელს შორის. კომპოზიცია შეიძლება ვცდები, თუმცა, ერთი შეხედვით ,,პლაკატურის'' ,,კინო-კადრის'' შთაბეჭდილებას და ასოციაციას მიტოვებს.

ქალის გამოსახულება განყენებულია, თითქოს მოწყვეტილია გარკვეულ სივრცეს. მხატვარი ვფიქრობ, რომ ცდილობს ქალს მიანიჭოს დიდი დატვირთვა, გამოკვეთოს, ხაზი გაუსვას, მის დომინანტურობას .. თუმცა, მისი სახე, გამომეტყველება, პირადად ჩემი აზრით, გარკვეულწილად დრამატულია, კუთხეში მდგომი თითქოს გაურკვევლობაშია, დაბნეულია და მოწყვეტილია ამიერ სამყაროს.

ვახოს ყოველი ნამუშევარი ჩემთვის ფერების, ჰაეროვანი ტონების, სიმსუბუქისა და სინატიფის ერთგვარი ჯადოსნური ნაზავია, რომელიც თითქოს გვიტყუებს, რომელშიც თითქოს იკარგები და გრძნობ, როგორ მოქმედებს ემოციურად შენ აღქმაზე, ხასიათზე. ტილოზე აკვარელით შესრულებულ ნაწარმოებებში მხატვარი ცდილობს, რომ უფრო იდუმალი, უფრო ამოუცნობი გახდეს მაყურებლისათვის. მისი მხატვრობა, როგორც თვითონ აღნიშნავს ეს არ არის წმინდა თხრობის ჟანრი, რაღაც ზღვარზეა და იმდენად ტრანსფორმირებულია, რომ აღარ არის კონკრეტული ისტორიები. ჩემი აზრით ამ ხედვით და შეხედულებით ის სათქმელს უტოვებს და ანდობს მაყურებელს. ცდილობს ემოციურ ფაქტორზე მოახდინოს ფოკუსირება, ეს არ არის მხოლოდ მაღალ სტანდარტზე წამოწეული ესთეტიკა, ეს არის მხატვრის ხედვა, რომელიც მთელ თავის სათქმელს ანდობს მაყურებელს, ის არის მთხრობელი, მაგრამ არ კონკრეტიზირდება, ცდილობს კოლორიტსაც შესძინოს მეტყველი ხასიათი მისი ფერები, როგორც თვითონ აღნიშნავს მსუბუქი, გამჭირვალე და ჰაეროვანია.

ალბათ ყოველი არტისტის თუ ხელოვანის ცხოვრებისეულ გზაზე და ზოგადად შემოქმედებაში არის ეტაპი და პერიოდი, როდესაც ფერზე ექსპერიმენტს მიმართავს, ეს უფრო უკავშირდება ძიების პროცესს, პერიოდს როდესაც მხატვარი ცდილობს, რომ გარკვეულ ხერხს, გარკვეულ მანერას მიაგნოს და რა თქმა უნდა ეს ძიება არა მარტო კოლორიტს უკავშირდება ეს პროცესი ეხება ფერის, ტონის, თემის, სიუჟეტების,

გამომსახველობითი ხერხების, ზედაპირის სტრუქტურის, კომპოზიციის, ფორმის და საკუთარი ინდივიდუალური მანერის წვდომა-ჩამოყალიბებას. მხატვარი აღნიშნავს, რომ *,,იყო დრო როცა აქტიურად ვიყენებდი წითელ ფერს, შემდეგ მწვანეს, ნელ-ნელა საკუთარი ხედვა ჩამომიყალიბდა"* [9] [ ვახო ბუღაძე] თუმცა ეს პროცესი სულ ძიებას უკავშირდება, რაც კარგად აისახა მის შემოქმედებაზე, არცერთი მისი ნამუშევარი არ არის ერთგვაროვანი. შეგვიძლია სხვადასხვა სტილის ნიშნები აღმოვაჩინოთ და ზოგადად უნდა აღინიშნოს ძიების პროცესი ყოველთვის თვალშისაცემია მის შემოქმედებაში. ის არ ცდილობს, რომ მხოლოდ ერთი კუთხით და ერთი მანერით გადმოსცეს სათქმელი ის სთავაზობს მაყურებელს სხვადასხვა ვარიაციებს, ექსპერიმენტს ატარებს ფორმაზე, ფერზე ფაქტურაზე ..

კვლავ აღვნიშნავ, რომ ვახოს ნამუშევრები გარკვეულწილად ოპ-არტის მიმართულებასთან ამჟღავნებს კავშირს, თუმცა ეს ვფიქრობ, რომ არ არის წმინდად ,,ოპ-არტი'' აქაც იგრძნობა ზღვარი. მაგრამ გარკვეულწილად ნიშნები იკვეთება და თითქოს სინთეზს ახდენს წმინდა აბსტრაქციის ზღვარზე მყოფ ფერწერასთან. ოპტიკური ხელოვნება აღნიშნავს მხატვრულ ნამუშევრებს და სხვა ხელოვნების ნიმუშებს, რომლებშიც ოპტიკური ილუზიებია გამოყენებული. მნიშვნელოვანია, რომ ოპტიკური ხატვის მეთოდის მიზანია ურთიერქმედება ილუზიასა და ნახატის სიბრტეს შორის, შემეცნებასა და ხედვას შორის. ამ ტიპის ნამუშევრები აბსტრაქტულია, მათი ცქერისას მაყურებელს მოძრაობის, ფარული გამოსახულებების, ვიბრაციის შეგრძნება ეუფლება. ასეთი ილუზიები მრავალგვარია და ადამიანის მიერ ნახატის ფერის, ფორმის და მოცულობის თავისებურებებზეა დამოკიდებული. ვახოს ნამუშევრებში კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს ილუზია ერთგვარად გამოწვეულია სიბრტყეზე არსებული ხაზების, შტრიხების, კომპოზიციაში ჩართული თეთრი ლაქობრივი მონასმების ვიბრირებით და მოცულობის სიღრმის და დინამიურობის შთაბეჭდილების გაძლიერებით.

სივრცე, ბილიკი, საფეხმავლო გზა, რომელიც იდუმალებით არის განმსჭვალული, მხატვარი გვიქმნის ილუზიას, მაგრამ არ გვაჩვენებს მიმართულებას. (ილუსტრაცია

[9] ვახო ბუღაძე

№24) ,,თეთრი ათინათები, პირადად ჩემთვის მისტიურს, ამოუცნობს, იდუმალს და ზოგჯერ კი სიზმრისეულსაც ხდის მის შემოქმედებას. თითქოს სასურათე სიბრტყე რამდენიმე რეგისტრად იყოფა. თითქოს მაყურებლის წინაშე იშლება კადრი, სიღრმე, რომელშიც შეგვიძლია, რომ შევიჭრათ, სადაც ჩვენ თვითონ ვირჩევთ მიმართულებას.. სივრცის ილუზიის, უსწორმასწორო, მომრგვალებული ფორმის გზის, ერთმანეთის მიჯრით მიყოლებული ხაზების, თეთრი ათინათების მეშვეობით მხატვარი გვაბნევს, გვიქმნის ილუზიას და გვაძლევს ფიქრის შესაძლებლობას.

ორი სრულიად განსხვავებული სამყარო, ამქვეყნიური, აწმყო, რომელსაც ჩვენ, მაყურებლები აღვიქვამთ და იმქვეყნიური ან წარსული ან მომავალი, რომლისკენაც მიისწრაფვის მაყურებლისკენ ზურგით წარმოდგენილი ნატურა. თუმცა ძალიან საინტერესოა კავშირი მხატვრის მიერ წარმოდგენილ ამ ორ კომპოზიციას შორის, რაც თვალშისაცემია და ხაზგასმულია, ერთმანეთს ჩაკიდებული ხელით. (ილუსტრაცია №25)

ჩვენ არ ვიცით  ვინ არის ეს ქალი ? რას წადმოადგენს? მისი სახე, რომელიც მაყურებლისკენ აქვს მობრუნებული თითქოს ემშვიდობება მას? უნდა კი მიღმიურ სამყაროში გაჭრა?  თუ უბრალოდ ზღვარზე დგას?  ცდილობს,  რომ გადადგას ნაბიჯი? მაგრამ თითქოს აკავებენ მას, ცდილობენ რომ დატოვონ ზღვარზე ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ სამყაროს შორის,  რომელიც სინათლით, სინატიფით არის მოცული. ამ შემთხვევაში მე მინდა გავამახვილო ყურადღება ქალზე, თუმცა ჩვენ არ ვიცით ვინ არის ეს კაცი? იქნებ, პირიქით,  ქალი ცდილობს, რომ ამ შემთხვევაში აცდუნოს მამაკაცი ? იქნებ ესეც ადამის და ევას თანამედროვე ყოფითი გააზრებაც იყოს?  თუმცა მოსაზრება შეიძლება ძალიან ბევრი გაგვიჩნდეს, მაგრამ არსებითი ჩემი აზრით,  არის ის, რომ ადამიანი ცდილობს ყოველთვის გასცდეს საზღვრებს, არ დაკმაყოფილდეს აწმყოთი და გაიჭრას, შეაბიჯოს იმ მომავალში, რომელიც სრუალიად ახალ სივრცეს გახსნის მის წინაშე.

ილუზია - საკმაოდ საინტერესოა ბუღაძის სწრაფვა თუ როგორ ცდილობს მატერიას დაუკარგოს ფორმა და აქციოს ერთგვარ აბსტრაქციად, თუმცა,  ზღვარზე მყოფ. არქტიექტურული კომპოზიციები, რომლებიც თითქოს  იკარგება, თითქოს ნელ-ნელა

ერწყმის კოლორიტს, გადაედინება მასში და ქმნის აბსტრაქციის ზღვარზე მყოფ ფერწერას. ჩვენ არ ვიცით თუ რა კოდი ჩადო მხატვარმა ამ ნამუშევრებში, თუმცა ჩემთვის ასოცირდება ილუზიასთან, ფოტოკადრთან. საინტერესოა, როგორ აღიქვამს მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანი ფონს? კომპოზიციას? განგებ დავურთე ფოტო კადრი - რომელიც ასახავს თუ როგორ აღიქვამენ სივრცეს, ფერს, კოლორიტს, ადამიანები, რომელთაც მხედველობის პრობლემა აქვთ. თითქოს გარკვეულწილად ვახოს ნამუშევრებთან აქვთ მსაგვსება ამ ფოტო კადრებს, რომლებიც ჩვენს წინაშე შლიან ილუზიას, წარმოდგენას გვიქმნიან და გვამცნობენ თუ როგორ შეიძლება დავინახოთ სამყარო. კოლორიტი, რომელიც შერწყმულია ფონთან, რომელიც ნაზად, ჰარმონიულად გადაედინება მასში, საკმაოდ მეტყველი და მსუბუქია. ფერთა გამის ურთიერთშერწყმა უფრო ჰაეროვანს და ემოციურს ხდის ნამუშევარს. (ილუსტრაცია №26,№27)

## 1.4 „არაკლასიკური პოპ - არტი" (ილუსტრაცია №28,№29)

უნდა აღინიშნოს, რომ II მსოფლიო ომის შემდგომ 50-იან წლებში მსოფლიოში სწრაფად იწყებს განვითარებას მასობრივი წარმოება. იცვლება ვითარება სამყაროში, რომელიც უფრო ნათელ ფერებად აელვარდა. ეს არის ეპოქა, როდესაც ბაზარზე შემოდის კომიქსები, ჟურნალები, ტელევიზია. იცვლება სოციალურ-კულტურული გარემო, რის საფუძველზეც ფორმირდება შესაბამისი ხელოვნება, რომელიც სწორედ მასობრივი კულტურით საზრდოობდა. პოპ არტის მიმდინარეობაში ადამიანი არის მთავარი მამოძრავებელი ღერძი და გარემო, სივრცე და კულტურა რომლის წიაღშიც ის ცხოვრობს და არსებობს.

პოპ-არტის საერთო განწყობა არ გამოხატავს სასოწარკვეთილებას და ზიზღს თანამედროვე ცივილიზაციისადმი – პირიქით, იგი საკმაოდ ნათელი, ოპტიმისტური და მხიარული განწყობით გამოირჩევა. რასაკვირველია, აქაც იგრძნობა ერთგვარი ეპატაჟი, თუმცა უფრო თვალშისაცემია იუმორი და ირონია. პოპ არტის წარმომადგენელთათვის მასობრივი წარმოება, სოციალისტური გარემო, კომერციული კულტურა, განიხილება, როგორც წყარო, რომლისგანაც შეიძლება ნოვატორული, ახალი სახეების აღება.

არაკლასიკური პოპ-არტი ძირითადად ბერძნული ქანდაკებებისა და მოდის ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოების მეშვეობით შეიქმნა. მარადიულობისა და პოპ-კულტურის ამგვარი სინთეზი დამთვალიერებლებისთვის ემოციური აღმოჩნდა. ბუღაძე კონკრეტულ ნამუშევრებს, არაკლასიკურ პოპ არტს უწოდებს და ალბათ ეს გამომდინარეობს იქედან, რომ იდეის საფუძველზე მხატვარს სრულიად სხვა შედეგზე სურდა გასვლა. მის ნამუშევარში არ იგრძნობა ირონია, იუმორი მას სურდა მხოლოდ იმის აღნიშვნა და თქმა ,რომ *,,ადამიანები არ იცვლებიან მათ ვიზუალურ მხარეს და დამხთვევებს ვგულიხსმობ ძველბერძნული ცივილიზაცია გაქრა და აღარ არსებობს ჩვენში მხოლოდ არტეფაქტებმა მოაღწია, ბერძნული კულტურა სულ სხვა ცივილიზაციაა და ძველ და ახალ კულტურებს შორის დამაკავშირებელი სწორედ ადამიანია''* [10]. ამოსავალი სწორედ ორი რადიკალურად განსხვავებული ფორმის ერთმანეთთან დაკავშირება გახდა.

ვახო გამორჩეული მხატვარია, რომელსაც ვფიქრობ აქვს უნარი, მაყურებლამდე მთელი გრძნობით მოიტანოს კომპოზიცია, შეგაყვაროს, დაგანახოს, გაგახსენოს მივიწყებული ისტორიები. დაგაბრუნოს ღრმა ბავშვობაში და მეტყველ მხატვრულ სახედ გადააქციოს ემოციები. მაყურებლამდე მოიტანოს სევდა, ნოსტალგია, და სწორედ ის სამყარო, რომელსაც თავად აღიქვამს.

## 1.5 გამოფენა ,, ერთი - ორი“ 2017 წელი

ნახატის გაგებას, აღქმას მგრძნობელობითი და ვიზუალური თვალსაზრისით დრო სჭირდება, ყოველი ადამიანი კი განსხვავებულად აღიქვამს და შეიგრძნობს შემოქმედებას. ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესო და ემოციური აღმოჩნდა ,,ვარდისფერი გოლიათები'' მკრთალი მოვარდისფრო ტონის ტილოზე გამოსახულია შიშველი მამაკაცის, სავსე ფორმის, ტლანქი ფიგურები, რომელიც თითქოს გამჭირვალეც კი გვეჩვენება, მხატვარი ცდილობს სიმსუბუქე, ჰაეროვნება შესძინოს კომპოზიციას, მეტყველებს ფერით, ანიჭებს სიდიადეს, სიმსუბუქეს. ნაზი დენადი ფერთა გამა თითქოს ერწყმის ფონს, არ იგრძნობა ერთგვარი სიმძიმე, სიტლანქე

[10] კლასიკა ოპკულტურა,ჟურნალი ბომონდი 2015 №7 გვ 34-37;

თითქოს მხატვარი ვიბრირებს ფერით, თითქოს ცდილობს რომ მეტად მსუბუქი ჰაეროვანი და სახასიათო გახადოს ნამუშევარი, შესძინოს მეტყველი ხასიათი ... ექსპრესიული მონასმი, ფერთა დამუშავება, კოლორიტი, მკრთალი ფონი, უფრო სენსიტიურს, უფრო მეტყველ ხასიათს სძენს ნახატს, ვარდისფერი სიმშვიდის, სიფაქიზის სიმბოლოა. მხატვარი ცდილობს სხეული ქაოტური ღია ფერის მონსამით შექმნას, ღია ყავისფერი და ოქროსფერი კონტურებით კვეთს სხეულის პროპორციებს, ნაკვთებს, გამომეტყველებას ...

,,გოლიათი'' (ილუსტრაცია №30) კომპოზიცია მელანქოლიურია, სევდით არის გაჟღენთილი და გაჯერებული, იგრძნობა ერთგვარი მწუხარება, თითქოს მხატვარი უპირისპირებს ერთმანეთს ორ საწყისს, ორ ემოციას - სიმბოლურად ამ აქცენტებს სვამს კოლორიტის მეშვეობით და წყალობით, ღია ვარდისფერი ფერის ფონზე აქცენტირებულია მკვეთრი ტონალური გრადაციები.... სიბრტყეზე გამოსახული მამაკაცის ფიგურა, თითქოს სცილდება ამქვეყნიურ ყოფას, მკაფიოდ იკითხება სახის გამომეტყველება. მკვეთრი აქცენტები, ჩრდილებით მეტყველება, თითქოს უფრო სიღრმისეულს უფრო მეტყველს, გრძნობით გამთბარს ხდის კომპოზიციას, მამაკაცი სტატიკურად არის გამოსახული განყენებულია, თითქოს შორიდან შემოგვცქერის, სწრაფი, ქაოტური, ოდნავ უხეში, ვარდისფერ ფონზე ღია ნაცრისფერი გრადაციები ვფიქრობ დინამიკას სძენს ნამუშევარს. .. მხატვარი ღია ფერის კონტურით გამოყოფს კომპოზიციას არსებული ფონიდან, ცდილობს კონტურები მკვეთრად თვალშისაცემი არ იყოს ... ცდილობს ფერებით მეტყველებას, გამოსახავს არამატერიალურ, ფორმა დაკარგულ, ჰაეროვან სხეულებს, გოლიათებს, რომლებიც იკარგებიან იმიერ სამყაროში, ნელ -ნელა ფერი იმდენად მსუბუქი ხდება, რომ უფერულდება და ფერმკრთალდება.

გოლიათების სერიიდან ჩემთვის ერთი - ერთი გამორჩეულია გოლიათი პეპლებთან ერთად.(ილუსტრაცია №31) გოლიათი, რომელიც ფერმკრთალდება ნელ-ნელა იჭრება ღია ვარდისფერ ფონში. სწრაფი, ქაოტური, კონკრეტიკას მოკლებული და უფორმო კომპოზიციები, მოცულობითი სხეული, მსუბუქი ღია ვარდისფერი ფერის სისადავე და ჰაეროვნება განაპირობებს ნახატის შთამბეჭდაობას და სასურათე სიბრტყის მოცულობით აღქმას. ზედა რეგისტრში გამოსახული ორი მცირე პეპელა თითქოს

სიმბოლურად განასახიერებს წარმავალობას, დროს, თითქოს ნელ-ნელა ყველაფერი კარგავს ხასიათს, უფერულდება, ფერმკრთალდება და უჩინარდება.. მასიური კომპოზიციის ფონზე, როგორი უსუსური როგორი უბრალოდ მარტივი და ჰაეროვანია გოლიათის კომპოზიცია. მხატვარი ცდილობს, რომ ეს უბრალოება უფრო თვალშისაცემი გახადოს, უფრო გაამარტივოს, უფრო შეამსუბუქოს კომპოზიციური ხასიათი, სწორედ ამ ყველაფერს ახერხებს ჰაეროვანი თბილი კოლორიტით მანევრირებით და აქა-იქ მკვეთრი მაგრამ ამავდროულად ფონში ჰარმონიულად შერწყმული ტონალობებით, ყოველი მოცემული სერია თითქოს იდენტურია, იდენტურია ფონი, იდენტურია კომპოზიციური გამომსახველობა, კოლორიტი, თუმცა ყოველი ნამუშევარში იგრძნობა ინდივიდუალური ხასიათი, ინდივიდუალური განწყობა, თითქოს ყოველი მონასმი, ყოველი ხაზი, აღძრავს განსხვავებულ ემოციას, გვაძლევს სრულიად განსხვავებულ სივრცეში შეჭრის შესაძლებლობას გვიქმნის ილუზიას, გვიმრავლებს წარმოსახვას და ტოვებს კვალს, როგორც ჩვენ გონებაში ასევე სულიერ მდგომარეობაზეც.

მოცემულ სერიიდან ჩემთვის ერთ-ერთი მძაფრი ემოცია გამოიწვია ტილომ ,,მოჩვენება''(ილუსტრაცია№32) .... კომპოზიციის მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ფიგურა, სწრაფი მსუბუქი მონასმით მხატვარი ქმნის ქალის სილუეტს, სწრაფი დინამიური ფუნჯის მონასმი, მაგრამ თითქოს ჰაეროვანი ოდნავ გამჭირვალე კოლორიტი, მხატვარი ცდილობს წარმოაჩნოს გამოსახოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისი, ბაცი ვარდისფერი ფერის სხეული, რომელიც ნელ ნელა უფერულდება იკარგება სივრცეში... ფართო მსუყე მონასმი, ტლანქი მოცულობითი ფორმის სხეული, რომელიც თითქოს აღწევს სასურათე სიბრტყის სიღრმეში, თითქოს ყოველი მონასმი, ყოველი ხაზი, სითბოთი, ჰაეროვნებით არის გამსჭვალული, ერწყმის სივრცეს იჭრება მასში... ბუნდოვანი ოდნავ გაბლარული ჰაერით გაჟღენთილი და გაჯერებული ატმოსფერო უფრო მოცულობითს უფრო სიცოცხლით აღსავსეს და ნათელს ხდის ნამუშევრებს. მონუმენტურობა, არამატერიალიზებული თითქოს გამჭირვალე ჰაერით და სითბოთი გაჟღენთილი მოცულობითი ფიგურები იძლევიან მეტყველ ხასიათს, გვესაუბრებიან და მოქმედებენ ჩვენზე. თითოეული მონასმი, თითოეული ხაზი, შტრიხი ბუნდოვანია, ფონი კი

თავისუფალი .. ვახოს მხატვრობის შედარება შეგვიძლია რონ მიუეკის სკულპტურებთან ,,BIG MAN'' (ილუსტრაცია №34) და ლუსიან ფროიდის შემოქმედებასთან ,,BENEFITS SUPERVISIOR SLEEPING''(ილუსტრაცია №35). ლუსიან ფროიდის ტილოზე გამოსახულია ტლანქი, ფორმა დაკარგული, მძინარე შიშველი ქალი ..უტრირებული სხეულის ფორმებით. ის რეალისტურად უდგება, ცდილობს გამოსახოს დააკონკრეტოს თითოეული სხეულის მონასმის პროპორციები,თითქოს ირონიულად გამოსახავს თითოეულ ნაკვთს, ვახოსთან განსხვავებულია გამოსახვის ხერხი ის ცდილობს სხეულის ნაკვთებს შესძინოს მეტი ჰაეროვნება, მუშაობს ფაქტურაზე ისე, რომ იგრძნობოდეს ყოველი ნაკვთის, ყოველი ნაწილის სიმსუბუქე, იყოს ხელშესახები, ექსპრესიული, რასაკვირველია მასთანაც თავს იჩენს და იგრძნობა ირონია, თუმცა არა ზღვარგადასული.. ვახოს შემოქმედებაში ძირითადად აქცენტირებულია უსაზღვრო, დაუოკებელი, ზღვარგადასული თავისუფლება, რომელიც კიდევ უფრო დიდ ხიბლს სძენს მის შემოქმედებას.

თითოეული ტილო გვაბრუნებს მისტიკურ სამყაროში თითქოს ვიკარგებით ვუჩინარდებით ირეალურ სივრცეში, ვუმზერთ ნახატს და თვალწინ წარმოგვიდგება ჰაეროვნებით, სითბოთი, სინათლით გაჟღენთილი და გამთბარი სივრცე, სივრცე რომელიც არ ჰგავს რეალურ ყოფას, სივრცე, რომელიც სიზმრისეულია, ილუზიური, ემოციური, სადაც თავმოყრილია გრძნობათა, ემოციათა ნაკადი, რომელიც გვაძლევს თავისუფლების განცდას და გვიქმნის მოულოდნელობების შთაბეჭდილებას... ზოგადად როგორც მხატვარი აღნიშნავს, *,,ხატვის პროცესი მთლიანად მოულოდნელობებზე არის დამყარებული''*[11] [ვ.ბუღაძე], ამ მოულოდნელობებს განაპირობებს მეთოდი და მასში გამოყენებული საღებავი .... ვახო აღნიშნავს, რომ *,,ნული ეს არის აბსოლუტის განსახიერება .. უნდა იყოს ნული არავინ რომ გახდე ვინმე პიროვნება''*[12]... სწორედ ამ ფიქრმა და ამ განცდამ უბიძგა მას გამოფნისკენ ,,ნული'' (ილუსტრაცია №36,№37, №38, №39,№40) მხატვარი ამ ნახატებზე 18 თვის განმავობაში 2017 წლის სექტემრბიდან 2019 წლის თებერვლამდე მუშაობდა ამ დროის განმავლობაში შექმნა 143 ნამუშევარი 127 ზომით 200 X145. 16 სხვადახვა ზომის.... დასახატად

[11] ვახო ბუღაძე
[12] ვახო ბუღაძე - გამოფენა ,,ნული'', თბილისი 2019 წელი

გამზადებულ ტილოს ათავსებდა ბრტყელ ზედაპირზე, შემდეგ ხელის მარტივი, მაგრამ აზრიანი მოძრაობით იწყებდა ხატვას აკვარელით, ეს არ არის პორტრეტები ისინი აბტრაქტული სახეების, უფრო სწორად თავების გამოსახულებებია.....

*მხატვარი აღნიშნავს, რომ აკვარელით შექმნილ ნამუშევრებში შედეგს დამთავრებისთანავე ვერ ვხედავთ, მხოლოდ მეორე დღეს შეგვიძლია ნამუშევრის სრულყოფილად დათვალიერება .. როგორ გაშრებოდა რა სიურპრიზებს მომიწყობდა საღებავი... დიდი რაოდენობით გამოყენებული წყალი ჩემი მდგომარეობის რაღაცით ჰგავდა მდგომარეობას იმ ადამიანისა, რომელიც დილით მნიშვნელოვან ტელეფონის ზარს მოელის .. ყოველი შემდეგი დღე იწყებოდა იგივე მოლოდინით და იმავე წერტილიდან ნულიდან..* [ვახო ბუღაძე: 2019]

როდესაც ნახატს უყურებ თითქოს ბოლომდე იჭრები მასში, გიჩნდება განცდა, ემოცია, აღიქვამ, მაგრამ ყოველი აზრი, ყოველი ფიქრი თითქოს კვლავ გაბრუნებს ირეალურ სივრცეში, და შენც იწყებ ნულიდან .... გაქვს მოლოდინი, გაქვს სურვილი, გიჩნდება წარმოდგენა, გაფიქრებს, მაგრამ შინაგან კონფლიქტს, შინაგან ხმას თითქოს კვლავ სიღრმისეულ, მისტიურ, ამოუცნობ და ამავდროულად მოულოდნელ ფიქრამდე მიყავხარ, და კვლავ იწყებ თავიდან, კვლავ მოლოდინით, კვლავ ახალი ემოციით და ასე განუწყვეტლივ... იდენტური, აბტრაქტული სერიები, რომლებიც კოლორიტით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ფორმა, ფერი, ემოცია, აზრი ყოველი მონასმი განხვავებულია, განხვავებულია ხასიათი, და განსხვავებულად აღიქვამს ყოველი მაყურებელი. სწრაფი, ლაქობრივი მონასმი, ფერთა გამა, ხასიათი, თითქოს მისტიურ უკიდეგანო, აბტრაგირებულ სივრცეებში წვდომის შესაძლებლობას გვაძლევს. არაამქვეყნიური ამოფრქვევა, რომელსაც მხატვარი ფერს ანდობს, არაამქვეყნიური მისტიური თითქოს გრავიტაციული მატერიის, ვარსკვლავთშორისი სივრცის, ციური სხეულების ილუზიას გვიქმნის, თითქოს ხაზს უსვამს ადამიანს, მისი ბუნების მისტიურ სასწაულებრივ ხასიათს, ბიომორფული, ილუზიური მხატვრობის და ფერწერის არასტანდარტული გამოვლინება. მხატვრული გამომსახველობა, დეკორატიულობა, კოლორიტი, როგორც თვისება თან სდევს ემოციების ცვლილებას.... მხატვარმა იცის რამდენად მოქმედებს ფერი, იცის რამდენად ახდენს გავლენას მაყურებლის ემოციაზე, განწყობილებაზე თითქოს ამით ზეგავლენას ახდენს ჩვენ

ემოციაზე, როგორც გვნუსხავს, როგორ გვესაუბრება მარტოობაზე, მოგონებებზე, წარმავლობაზე, რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში დროს, სივრცეს, ემოციას, ყოველი სერია ყოველი ნახატი მოგონებების, შთაბეჭდილებების შეგრძნებების და განცდების მორევში გვაგდებს... გვიქმნის შესაძლებლობას ნახატის სრულიად განსხვავებული, რადიკალურად უცხო მხრიდან აღქმისა და დანახვის... ყოველი მისი ნახატი ხაზს უსვამს სამყაროს წარმავლობას, მოგონებას და კვლავ მისტიურ, ამოუცნობ და ამავდროულად მოულოდნელ ფიქრამდე მიყავხარ და კვლავ იწყებ თავიდან, კვლავ მოლოდინით, კვლავ ახალი ემოციით, კვლავ ნულიდან...

# თავი II

## ლევან ხარანაულის შემოქმედება

*,,ხანდახან ყოველდღიურ არსებობაშიც წააწყდები ისეთ სავსე სრულყოფილ რეალობას, გამონაგონს, რომ არ ჰგავს ".*[13] სწორედ ასეთი რეალობის წიაღში დაიბადა და ამ რეალობის გარშემო აგრძელებს ცხოვრებას ლევან ხარანაული. ხელოვანი, რომელმაც წლების წინ თავისი ცხოვრება, თავისი არსებობა დაუკავშირა მშობლიურ მხარეს, თიანეთს, რომელიც თავისი ბავშვობის წლების და მოგონებების ანარეკლია.

მართლაც რა რთულია განერიდო, მოწყდე ჩვეულ გარემოს და გადაეშვა, სრულიად ახალ სამყაროში, რომელიც არაფრით ჰგავს ,,ქალაქურ'' ყოფას. აქ ყველაფერი სუფთა, წმინდა, რეალური, სიცოცხლით სავსე და მშვენიერია. ბუნებასთან კავშირი კი უფრო ჰარმონიულს, უფრო გრძნობით განმსჭვალულს, უფრო ემოციურს და შემოქმედს ხდის ადამიანს. ხოლო გარემომცველი ატმოსფერო, ცვალებადი სინათლე და ჰაერი კი სიცოცხლეს შთაბერავს ადამიანებს და ანიჭებს ჭეშმარიტ ღირებულებას. ამ ჰარმონიული წესრიგის და ჭეშმარიტი ღირებულების შეცნობა, კი წმინდა შემეცნებას ძალუძს.

როგორც, ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს *,,ბუნება ღვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა, ადამიანი კი – ამ ჰარმონიის ნაწილი და როგორც არ უნდა იყოს მისი საამწუთიერო ინტერესები, იგი საბოლოოდ განწირული იქნება, თუ ბუნების გრძნეულ ენას არ მიუგდებს ყურს, მის უხილავ სულიერებას არ ირწმენს და მის ტკივილს არ გაიზიარებს".*[14] სწორედ ამ ჰარმონიული წესრიგის ნაწილი და ჭეშმარიტი ღირებულებით განმსჭვალული ადამიანია ლევან ხარანაული, ხელოვანი, რომელმაც ვფიქრობ, რომ შეიმეცნა ბუნების უბრალოება, სულიერება და სევდა. შეიგრძნო ნამდვილი სიცოცხლე, შინაგანი სიმშვიდე, ბუნებასთან სიახლოვე და ადგილი დაიმკვიდრა მამაპაპისეულ მიწაზე.

---

[13] რუსუდან დარჩიაშვილი, ,,ხარანაულები'' , გაზეთი 24 საათი, თბილისი 2014 , გვ 64-66;
[14] http://genia.ge/?tag=%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9F%E1%83%90-%E1%83%A4%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90

*მხატვარი აღნიშნავდა, რომ ,,ნამდვილად არ ჰქონია პროტესტი რაიმეს მიმართ, ზაფხულში ქალაქში, რომ დაცხა არდადეგები დაიწყო და ჩვეულებრივ ბავშვები დასასვენებლად თიანეთში წავიყვანეთ, მაშინ ოთხი გვყავდა - მარიამი, ქიტო, ბესიკი და გიორგი, უამრავი რეისი გავაკეთე, ყველაფერი, რომ წამეღო რაც გვჭირდებოდა ბოლოს ჩემი სახატავი ნივთები ჩავიტანე დავლაგდი და ზაფხულმა ისე გაირბინა რომ წარმოვიდგინე უნდა დავბრუნებულიყავით..... ასე უბრალოდ დავრჩით.... მაშინ სოფელში გზაც იყო, საავადმყოფოც, კულტურის ცენტრიც, კინოც და ახლა აღარაფერი არ არის ხანდახან კლუბში სპექტაკლს თუ დადგამენ შემოქმედებითი ნატურის ხალხს რა მოასვენებს?* [15].....

მართლაც რა მოასვენებს შემოქედებითი ნატურის ადამიანს? ბედნიერებაა, როდესაც შემოქმედი მუდმივად ცდილობს საკუთარი გამოძახილის, ქვეცნობიერში დალექილი ისტორიების, იდეის, მხატვრულ რეალიზებას, ხილული ფორმებისა და სახე-ნიშნების ვერბალურ თუ ვიზუალურ ტრანსფორმაციას და მართლაც არ შემიძილია არ დავეთანხმო ანრი ბერგსონს - *"არ არსებობს იმაზე მეტი სიხარული, როცა ადამიანი საკუთარ თავს შემოქმედად გრძნობს. ცხოვრების ტრიუმფი სწორედ, რომ კრეატივში გამოიხატება"*. [16] [ანრი ბერგსონი].

დღესდღეობით ხარანაული თავისი შემოქმედების სრულყოფას, განვითარებას და რეალიზებას კვლავ ,,ქალაქურ'' ყოფაში აგრძელებს. თუმცა, მშობლიურმა თიანეთმა ვფიქრობ, რომ უფრო გაათბო, უფრო გაამრავალფეროვნა, დააფიქრა და მეტად მეტყველი გახადა მისი შემოქმედება, როგორც აღნიშნავს დიდ ნოსტალგიას განიცდის მშობლიური მამაპაპისეული მიწის მიმართ.

განსხვავებული, დამაფიქრებელი და საინტერესოა თავად ლევან ხარანაულის შემოქმედება, რომლის წყალობით ის გვიამბობს თავის ყოფაზე, ცხორებაზე, მოგონებებზე, სულიერ მდგომარეობასა და განწყობილებაზე, მისი მხატვრობა, რომელიც გრძნობით არის გამთბარი, ფიქრიანია... მის შემოქმედებას მოაქვს მძაფრი ემოცია, მაყურებელს გვიქმნის განწყობას, გვიბიძგებს, რომ ჩავუფიქრდეთ საკუთარ

[15] ლევან ხარანაული, მხატვრის საუბარი საკუთარი შემოქმედებისა და ოჯახის შესახებ , ჟურნალი პრაიმტაიმი, თბილისი 2011 (ივლისი) №28, გვ 34-35;
[16] ანრი ბერგსონი.

სულიერ სამყაროს, სულიერ განცდებს, გავიჭრათ რადიკალურად განსხვავებულ სივრცეში, რომელიც არ ჰგავს ამ წუთისოფლის რეალურ სახეს, სადაც განზეა გაწეული განყენებული წუთიერი ვნებები, სურვილები, ცდუნებები. სამყარო, რომელიც მხოლოდ სინამდვილისა და სიწმინდის ჯადოსნური ნაზავია, სამყარო, რომელსაც სიყვარული ატრიალებს. სწორედ ასეთი მშვიდი, გაწონასწორებული, მოსიყვარულე წარმომიდგენია თავად მხატვარიც, ალბათ, რომ არა მისი ხასიათი, ბუნება, მსგავსი შემოქმედების სრულყოფას და მაყურებლამდე ნახატის მსგავსი სახით გადმოცემას ვერ შეძლებდა. ოდნავ მელანქოლიური, ნოსტალგიური ნამუშევრები, რომლებიც ჰარმონიულად, მელოდიურად გადაედინება და სრულყოფილად მოქმედებს, როგორც ვიზუალურ აღქმის თვალსაზრისით, ასევე მგრძნობელობითი თვალსაზრისითაც. ნამუშევრები, რომლებსაც პირადად მე მივყავარ ღრმა ფიქრებში, განცდებში, ჩემთვის შეუძლებელია ხარანაულის ნებისმიერი ნამუშევრის უემოციოდ, შთაბეჭდილებების გარეშე გულგრილად აღქმა.

იგი ყველა თემას ეხება, ხატავს თავის მეგობრებს, ოჯახის წევრებს, შვილების პორტრეტებს, ბუნებას, გარემოს, სადაც ცხოვრობს, განსაკუთრებულად მეტყველია მისი ავტოპორტრეტები, რომელიც ვფიქრობ, რომ მართლაც გვიყვებიან მის ხასიათზე, იგრძნობა ინდივიდუალიზმი. მცდელობა იმისა, რომ ბოლომდე დაიხარჯოს და მაყურებელს გააგონოს საკუთარი ,,შინაგანი ხმა“ და სრულყოფილად გაანდოს სათქმელი.

თავად მხატვარი აღნიშნავს, რომ *,,ავტოპორტრეტი არის მოთელვის ყველაზე კარგი საშუალება. დადგები სარკესთან და დახატავ ..ზოგჯერ სრულიად არაფერს ვხატავ. სანამ დაქოქავ დაზგას, დაზგური ფერმწერი ჩაიხედავ სარკეში და დახატავ.*[17] [18]

ავტოპორტრეტები ტიპოლოგიურად ერთმანეთი მსგავსია, თუმცა ჩემი აზრით თითოეულ მათგანში განსხვავებული ხერხით არის მაყურებლამდე მოტანილი ემოცია, რომანტიკული, მელანქოლიური და ხშირად სევდიანი გამომეტყველებით აღსავსე ტილოებში, განსაკუთრებულად მეტყველია თვალები, რომლებიც კონტაქტს ამყარებენ

[17] ლევან ხარანაული,მხატვრის საუბარი საკუთარი შემოქმედების და ოჯახის შესახებ, ჟურნალი პრაიმტაიმი, თბილისი 2011 (ივლისი),№28,გვ34-35;
[18] ლევან ხარანაული - ინტერვიუები, გაზეთი 24 საათი,№13, №44 - გვ 8-9;

მაყურებელთან, რომლებიც გვიყვებიან მის ჭირსა თუ ლხინზე, დარდსა თუ სიხარულზე..

მხატვარი შემოგვცქერის მაყურებელს ჰარმონიული გაწონასწორებული, თავშეკავებული, კეთილშობილური გამოხედვით.. პირობით - დეკორატიული ფორმა, რეალისტური, სიმბოლური ელემენტებით გაჯერებული ავტოპორტრეტი ერთი შეხედვით მარტივი აღსაქმელია, თუმცა თუ დავაკვირდებით ბევრ ისეთ დეტალს აღმოვაჩენთ, რომელიც სიღრმისეულად დაფიქრების სურვილს აღძრავს.

ავტოპორტრტეტში (ილუსტრაცია №41) ნათლად ჩანს და აღიქმება მხატვრის მიერ წარმოდგენილი სამი განსხვავებული ფორმის საათი, პირველივე შეხედვისას გამიჩნდა კითხვა თუ რატომ გამოსახა? რა პირობითი და სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა? რა ფუნქცია აქვს დროს მხატვრის შემოქმედებაში? ზოგადად მიმაჩნია რომ ამ სამყაროში ყველაფერი სადღაც და ოდესღაც ხდება .. დრო კი ყველაზე ძვირფასი რესურსია დედამიწაზე. პირობითი განზომილება, რომელსაც ადამიანები ვერ ვიმორჩილებთ, ვერ ვაკავებთ, არც კი ვიცით როდის ამოიწურება.. თავისთავად მიედინება და სივრცეს არათანაბრად ავსებს, თუმცა, სწორედ დრო გვეხმარება კონკრეტული ისტორიების, ამბების, მოგონებების ტრანსფორმაციაში, სწორედ დროის დისტანციის გადააზრება გვაპოვნინებს ნახატის არსს, იდეას და გვამცნობს ფაქტს, რომ სივრცე და დრო განუყოფლადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პირადად ჩემი აზრით მხატვარი სწორედ ხაზს უსვამს და მაყურებელს ამცნობს, რომ შესაძლოა ეს იყოს წარსულის, აწმყოს და მომავლის სიმბოლური გამოსახვა.. წარსულის, რომელიც ფაქტად, მოცემულობად დარჩა და მისი გამოსწორება მხოლოდ ჩვენს მიერ განხორციელებულ აწმყოსა და მომავლის ცვალებადობაზეა დამოკიდებული.

სიმბოლური თვალსაზრისით მიმაჩნია, რომ კონკრეტული ავტოპორტრეტი გარკვევულ მსგავსებას განიცდის ესპანელი მხატვრის სალვადორ დალის ნამუშევართან ,,*The Persistence of Memory* “. ,, მეხსიერების იგივეობა'' (ილუსტრაცია№42), რომელიც სურეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. ტიპოლოგიური თვალსაზრისით არარსებული მსგავსების მიუხედავად, ვფიქრობ, რომ სიმბოლური, აზრობრივი და იდეური თვალსაზრისით გარკვეულწილად შეინიშნება მსგავსება..

დალი თავის ნამუშევარში ერთგვარად უწესრიგობას, მისტიკას, ქაოტურობას უპირისპირებს ჰარმონიას, თითქოს შესაძლებლობას გვაძლევს ირეალური, სიზმრისეული, ილუზიური სამყაროს შეცნობის. ვფიქრობ, რომ წარმოსახვითი, სიზრმისეული დროის სიმბოლოა ჩამოღვენთილი, მატერია დაკარგული საათები, რომლებიც თავისთავად მიედინება და რომლითაც მხატვარმა ხაზი გაუსვა წარსულის, აწმყოს და მომავლის იდეას. სწორედ დროის აღქმა მისი გადააზრება, ცნება და კონცეფცია არის ის,რაც გვაპოვნინებს საერთოს მხატვრების კომპოზიციებს შორის.

მხატვრის სახე გაცილებით იდუმალი და სიღრმისეულია ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.. სარკე, რომელიც რეალურს, სიზმრისეულს ირეკლავს, რომელიც ცვალებადობის სიმბოლოდაც შეიძლება ჩავთვალოთ და მხატვარი, რომელიც ჩაფიქრებული და მაყურებლისკენ მიმართული გამჭოლი მზერით ცდილობს დაგვაფიქროს, დაგვანახოს მთავარი სათქმელი, რომ წარსული ყოველთვის ილექება მეხსიერებაში, მომავალი ყოველთვის სავსეა მოლოდინით, აწმყო კი, დროის არსის ჭვრეტაა, დროის, რომელიც გვეხმარება ისტორიების, მოგონებების, ნოსტალგიების ტრანსფორმაციაში.

მხატვარის მიერ მეხსიერებაში, გონებაში დალექილი განცდები, ემოციები, გრძნობები ყოველთვის პოულობენ ადგილს მის შემოქმედებაში, თითოეული პერსონაჟი მის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს .. ის აღნიშნავს, რომ *,,გაამზადებ პალიტრას, ფერებს დაასხამ და უნდა ჩახედო შენ თავს, რამე წარმოიდგინო ნატურაზე, მხოლოდ ფუნჯი მუშაობს, ერთი სეანსის მერე გიყვარდება ვისაც ხატავ, მნიშვნელობა არ აქვს, ბავშვია, მოხუცია, თუ რაიმე ნაკლი აქვს. ჩემთვის ყველაფერი საჭიროა, ვცდილობ, რომ ტილოზე გადატანისას თავი არ დავკარგო. მხატვრისთვის ხატვის პროცესი ჰგავს ,,ვიდერჟკით'' გადაღებას. წამის მეასედში ადამიანს რამდენი აზრიც, გაუელვებს იმდენჯერ ყველაფერი იცვლება - რაც დიდხანს არის ღია ობიექტივი მეტად ამოაქვს ადამიანს შიგნიდან ის რაც არის''.* [19] მხატვრის ყოველ ნამუშევარში ჩანს და იგრძნობა დიდი სიყვარული. მართლაც ცდილობს, რომ ყველა დეტალი ყველა ნიუანსი გამოსახოს ტილოზე და მაყურებლამდე მთელი ემოციით მიიტანოს სათქმელი.

[19] პორტრეტი ღია სარკმლის ფონზე, ჩვენი მწერლობა, თბილისი 2014, №4, gv – 64-66;

მისი ნამუშევრებიდან ჩემთვის ერთ-ერთი განსაკუთრებულად საყვარელია მოხუცი ქალბატონის პორტრეტი.(ილუსტრაცია №43) რომელშიც ისევე, როგორც ყველა მის მიერ შექმნილ პორტრეტში ვფიქრობ მეტყველია თვალები, რომელიც შინაგანი ტკივილის, მწუხარების, დარდის და სევდის ანარეკლია, წყლიანი თვალები, რომლებიც შემოგვცქერიან, თითქოს შველას ითხოვენ, (უძლურება, უსუსურობაა გამოკვეთილი!) თითქოს მხოლოდ ჩვენში ხედავენ იმედს. რომლებიც გვახსენებენ ჩვენ ბავშობას, მოგონებას, სამყაროს, რომელსაც ჯადოსნური, სიზმრისეული ფერები და განცდები მოჰქონდა ჩვენთვის. წარსული, რომელიც უამრავი ტკბილი და ფერადი კადრებით იყო სავსე. პორტრეტი გულის სიღრმემდე აღწევს, მოქმედებს და გიღვივებს ,,სიყვარულის'' განცდას, ვფიქრობ, განსაკუთრებით მძაფრად იმ მაყურებლებზე, რომლებიც ,,მშობლიური'' ბებოს სიყვარულით იზრდებოდნენ. მხატვარმა ნახატში ერთდროულად თავი მოუყარა ზღაპრულ სიტკბოს, სითბოს, ემოციას. გარემო, რომელიც გაფერმკრთალებულია, გაცრეცილია, გაცვეთილია დროის და ცხოვრების მიერ, ისეთივე დამწუხრებულია და სევდანარევი, როგორც მოხუცის სახე. თითქოს თითოეული ნაოჭი, თითოეული ჭაღარა გვიყვება მის ისტორიას განვლილი ცხოვრების შესახებ, გულისსიღრმემდე აღწევს, გაფიქრებს, წარმოსახვაში გადაყავხარ... დამწუხრებული, სუსტი დაქანცული, ცხოვრებისგან დაღლილი, მაგრამ მთელი ძალით ცხოვრებაზე მოჭიდებული ხელები კი ,,დარჩენილი იმედის'' სახე და ანარეკლია ..

ვაკვირდები პორტრეტებს და მიკვირს, როგორ შეუძლია მხატვარს მაყურებლამდე თვალნათლივ მოიტანოს პიროვნების ნამდვილი ხასიათი, შინაგანი მდგომარეობა, ტკივილი, მრისხანება, სასოწარკვეთილება .. საოცარია როგორ მეტყველებს პიროვნების ღრმა თვისების შესახებ მხატვრის მიერ გამოსახული გამომეტყველება, ,,თვალები'', რომელიც შეუძლებელია ყოველ პორტრეტის ხილვის შემდეგ არ გამოვყოთ და აღვნიშნოთ.. თვალები, რომლებიც არა მხოლოდ ემოციების, გრძნობების ანარეკლია, არამედ ნატურის სულის სარკეც. ვფიქრობ, ბიჭუნას გამომეტყველებაში შეიმჩნევა სევდა, რიდი, მელანქოლია, თითქოს თავისი ასაკისთვის უჩვეულო და უცხო... ის არ ჰგავს სხვებს, მისი სახე ინდივიდუალიზმით არის სავსე, სახე, რომელიც სიკეთეს, სითბოს, მადლს და ამაოებას აფრქვევს... სახე, რომელიც სავსეა ბავშვური სათნოებითა და სიწმინდით, სიყვარულით თუ რწმენით.. (ილუსტრაცია №44)

რა საინტერესოა, როგორ ცდილობს მხატვარი ყოველი პორტრეტი ინდივიდუალურად მიიტანოს მაყურებლამდე, დახატოს ის რასაც ხედავს, აღიქვამს, რაც მისთვის პრიორიტეტულია და დომინანტია... მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი არ არის გაჯერებული სიყალბით, არ არის ხელოვნურად შექმნილი, მხატვარი საოცრად გულწრფელი, ალალი და მართალია და სწორედ ჭეშმარიტების და მასზე დაფუძნებული სიმართლის და სიცხადის ჩვენება წარმოადგენს მის მთავარ მიზანს, ჩვეულებრივ ადამიანებში მათი მნიშვნელოვანების ჩვენება, თან ასაკის მიუხედავად მხატვარი არ ცდილობს მოატყუოს მაყურებელი და ეს პირადად ჩემი აზრით იგრძნობა მის მიერ შექმნილ თითოეულ კომპოზიციაში, რომლებიც გვეხმარება არა მარტო ცხოვრებისეული გზის სწორად განვლაში არამედ ცხოვრებისეული ფილოსოფიის წვდომაშიც.

ცის ფონზე გამოსახა პირველ რიგში ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის სახე... სათნო, წმინდა და სპეტაკი სულის მქონე ადამიანის.. სულიერი მოძღვრის, დამხმარეს, გადამრჩენელის, რომელიც ვფიქრობ მზერითაც კი ცდილობს მწუხარებაში მყოფი ადამიანის შველას... სათნო გამომეტყველება, სიბრალული, სულიერი ტკივილი და დარჩენილი იმედი თითქოს ყველაფერი ეს თავს იყრის მის გამომეტყველებაში.. ის არ ჰგავს სხვებს, ის განსხვავებულია, განსხვავებულია მისი სახე, მისი ხასიათი და ალბათ, ადგილი ყველა ადამიანის ცხოვრებასა თუ გულში. რა საოცარია ფონი, ცისფერი ცა, ღრუბლები, რომლებიც ჰარმონიულად გადაედინება და ერწყმის მეტყველ, თბილ ცისფერს... სინათლე, მზის სხივი, რომელიც გადაედინება, მკრთალად ფონზე, მოძღვრის სამოსზე, სახეზე და თვალებზე, რომელიც დიდი სითბოთი და სიყვარულით არის აღსავსე.. გულზე დაკიდებული ღვთისმშობლის ხატი კი მარადიულობის, ღვთის სიდიადის, სიწმინდის, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთას სახე - ხატი და განსახიერებაა. (ილუსტრაცია №45)

საინტერესოა, როგორი უბრალო, მარტივი და ამავდროულად ჰარმონიულად, დახვეწილად დეკორირებული, ნატიფი და ნაზია ხარანაულის მოცემული ნახატები. ტილოზე გამოსახული ფაიფურის და შუშის, ფინჯნები, ლანგრები, ლამბაქები, თითქოს რეალურია, ხელშესახები, ნაზი, თხელკედლიანი, ჰაეროვანი, უბრალო, უდაოდ ხელოვნების ნიმუში .. მხატვრისთვის ვფიქრობ მეორეხარისხოვანია ჭურჭლის

უტილიტარული დანიშნულება. აქ ხაზგასმულია ჭურჭლის, როგორც სამშვენისის, ხელოვნების ნიმუშის მნიშვნელობა. უნიკალური მანუფაქტურა, რომელიც თითქოს გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს რუსულ ავანგარდული ხელოვნების ნიმუშებთან... ხალხური, ორნამენტიზებული გამოყენებითი ხელოვნების, თუმცა მისგან განსხვავებით, ჩემი აზრით, რუსული ავანგარდული ხელოვნება უფრო მკვეთრი, მჟღერი და უხვად დეკორირებულია. ხოლო ხარანაულის მოცემული ნახატები კოლორიტის თვალსაზრისით ჰარმონიული, მეტყველი, ხშირად დენადი და უფრო ფაქიზია. თითქოს თითოეული საგანი ქმნის სიძველის კადრს, გვაჩვენებს თითოეულ ნივთის არა მხოლოდ ვიზუალურ იერსახეს, არამედ, გვაწვდის, გვიყვება თავის ისტორიას... ამბავს, მარტოსულად მიტოვებული კომპოზიციების, რომლებსაც აკლიათ პატრონის ხელი, ფანჯრის კუთხეში მიტოვებული ფინჯანი, დამჭკნარი ყვავილი, ერთმანეთზე განლაგებული მოხატული ფინჯნები, მარტოსული მაგრამ სინაზით და სილამაზით გამთბარი.(ილუსტრაცია,№46,№47,№48,№49,№50)

რუსული ავანგარდული ხელოვნების ნიმუშებში კი, ჩემი აზრით დატვირთვა ენიჭება უფრო კომპოზიციას, თითოეული ნაშრომი კოლორიტის თვალსაზრისით ინდივიდუალურია, თუმცა, პირადად ჩემი აზრით, ნაკლებად მეტყველი, აქ, თითქოს, პერსონიფიცირებულია თავად საგანი და არა ამბავი, იდეა.. დეკორი.. მჟღერი კოლორიტი, მსუყე მონასმი, პირადად ჩემთვის ნაკლებად დენადს და ჰარმონიულს ხდის ნამუშევარს.

შთაგონების წყაროდ ქცეული საგნები, მოგონებები, სევდა და სიყვარული. ფეხსაცმელების მრავალფეროვანი გარდასახვა. მხატვარი ყოველთვის მოქმედებს მაყურებელზე, ყველა ხერხით, ყველა გზით ცდილობს და ახერხებს, რომ გულამდე და გონებამდე მოიტანოს სათქმელი. ყოველი მისი ნახატი წარმოდგენას გვიქმნის, მოგონებების მორევში გვაგდებს, გვახსენებს საკუთარ ისტორიებს და ამბებს, საკუთარ თავს, ოჯახს, გარემოს, ნივთებს ადრეულ პერიოდს.. თვითონაც აღნიშნავს *,,მე ვხატავ და ისე გამოდის, რომ ადამიანები საკუთარ თავს ხედავენ''* [20]...

[20] ლევან ხარანაული, ინტერვიუები,

,,ფეხსაცმელების სერია“ ( ილუსტრაცია №51)- როდესაც პირველად ვნახე მხატვრის მიერ შესრულებული კონკრეტული ნამუშევარი ბევრი ასოციაცია მოიტანა, ისტორია გამახსენა, ბევრი კითხვა დამებადა, თუ რატომ ქმნის? რა დანიშნულება აქვს ამ კონკრეტულ თემას მის შემოქმედებაში? ვის ფეხსაცმელებს ხატავს მხატვარი? რა დატვირტვას ანიჭებს?.... იქნებ უბრალოდ გამოსახავს უფუნქციო, დაძველებულ ფეხსაცმელს, რომელსაც არანაირი სიმბოლური დატვირთვა არ გააჩნია.. უნდა თუმცა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როგორც ვიცით ძველ რომში ფეხსაცმელი ეს იყო თავისუფლების სიმბოლო.. შედარებით დაბალი კლასის საზოგადოება და მონები დადიოდნენ ფეხშიშველნი მხოლოდ თავისუფალი მოქალაქე ატარებდა სანდლებს... ეს ფეხსაცმელები შეიძლება სიმბოლურად გამოსახავდნენ თავისუფლებას? ამ იქნებ სიმარტოვეს? ცხოვრებისეულ სიმძიმეს, რთულ ყოფას, მორიდებას, სიდუხჭირეს ან განვლილ ცხოვრებას, გაცვეთილ გზას ... ბევრი ასოციაცია შეიძლება მოიტანოს კონკრეტულმა სერიამ, ბევრი ფიქრი გააღვივოს ...თუმცა თითოეულ ადამიანს შეიძლება საკუთარი დამოკიდებულება გაუჩნდეს და თავადვე საკუთარი თავიდან გამომდინარე გასცეს ყველა კითხვას პასუხი..

პირადად ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა მოცემულმა სერიამ პირველ რიგში გამახსენა და მომაგონა ვან გოგის ,,A pair of Shoes'' ,,წყვილი ფეხსაცმელები'' (ილუსტრაცია №52), რომელიც ერთი შეხედვისთანავე გიქმნის განსხვავებულ განწყობას, გაფიქრებს, ცდილობ მოძებნო პასუხი თუ რა არის? რატომ შეეხო მხატვარი ამ თემას .. არაფრით გამორჩეული თუმცა მრავალი ისტორიით დატვირთული ფეხსაცმელები... ჭუჭყისგან დაბინძურებული, სიძველისგან გაცვეთილი, დაძველებული მაგრამ ისტორიით აღსავსე, რომელიც სიმბოლურად გამოსახავდა მშრომელი ხალხის ჯაფას და მათ რთულ ყოფას... ლევანის მიერ შექმნილი ტილო სხვადასხვა ემოციას გიტოვებს, გაცვეთილი ფეხსაცმელები, რომლებიც თავის ბავშვებს უკავშირდება, ყველა შვილის ნახმარი და ბოლოს ნაბოლარას გამოცვეთილი... იქნებ სწორედ, რომ ზოგად სოციალურ გარემოსაც უსვამს ხაზს? პიროვნების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას? იქნებ, უარყოფილია ფეხსაცმლის უტილიტარული დანიშნულება და ხაზგასმულია მფლობელის სულიერი მდგომარეობა? იქნებ მარტოსულია? და გაცილებით რთული მისი ცხოვრებისეული გზა.... თუმცა მთავარი არის ის, რომ მხატვარი მარტივად და

მთელი გრძნობით ქმნის და საუბრობს თავისი შემოქმედების შესახებ, მარტივი ენით და საშუალებებით გადმოსცემს მთავარ სათქმელს, აზრს, გარემოს, რომელიც ყოველდღიურობაში თითქოს არ იწვევს ჩვენში ემოციებს, თუმცა მხატვრის ხედვა და ხერხი გამოსახოს საგანი და სიუჟეტი ისე, რომ იმოქმედოს სულიერებაზე და გრძნობაზე ყოველთვის იღებს შედეგს ... ხელოვნება, მართლაც ხომ იქ არის და იბადება სადაც გრძობა, სიყვარული და სულიერებაა... ხოლო გრძობით შექმნილი თითოეული ნახატი კი წარმოადგენს ხელოვანის სულიერ ჩანაფიქრს, იდეას, რომელიც შედეგს იძლევა და რომელსაც მთავარ სათქმელამდე გავყავართ... და მართლაც არ შემიძლია დავეთანხმო ოსკარ უაილდს *"ჩვეულებრივი ადამიანები იცდიან, სანამ ცხოვრება თავის იდუმალებას თვით გადაშლის მათ წინაშე, მაგრამ ამქვეყნად მხოლოდ რჩეულთ აქვთ ბედნიერება, ეზიარონ მის საიდუმლოს ადრევე, ვიდრე თვით გადაიხსნის თვალშეუღწეველ პირბადეს.ჟამთა ვითარებაში ამას, რა თქმა უნდა, ხელს უმართავს ხელოვნება''* უმთავრესად კი, ვფიქრობ მხატვრობა, რომელიც თვალისუსწრაფესად მოქმედებს როგორც გრძნობებზე, ასევე გონებაზე"

# დასკვნა

ხელოვნება საყოველთაოა, არ გააჩნია დრო და საზღვრები, მხოლოდ ემოციის ჯაჭვით გადაეცემა, ერთიდან მეორეს. სუნთქვა გეკვრის, როდესაც ცდილობ, რომ ჩაწვდე მხატვრის მიერ ნაფიქრს, გენიოსების მიერ შექმნილს, შენახულსა და შემდეგ გადაცემულს მემკვიდრეებისა და მიმდევრებისთვის.. ადამიანი ცდილობს მის გარშემო არსებული სამყაროს გააზრებას, მიისწრაფვის ჩაწვდეს მრავალსახოვან, მრავალშრიან და მარადიულ ხელოვნებას, აღმოაჩნოს ყოფიერების საზომი ერთეული, გაიგოს მანამდე ჯერ განუცდელისა და ამოუხსნელის ცნება. ადამიანი თავისი არსებობის მცირე მონაკვეთში განიცდის ნათელ, ლამაზ და დაუვიწყარ მომენტებს, რომლებიც სამუდამოდ ილექება მეხსიერებაში, ხელოვანს კი აქვს შესაძლებლობა ფუნჯის საშუალებით დააფიქსიროს, გადმოიტანოს თუ აღწეროს ყოველი ისტორია *,,დედამიწაზე არსებობს ფუნჯები, რომლებიც ჩვეულებრივ ფარავენ ყველაფერს რაც სითბოთი და სიყვარულით არის შეფუთული და აქცევენ ჩვენ სამყაროს მრავალფეროვან, ნათელ სივრცეებად".* ფერადი საღებავებით უკეთესად აფერადებენ საამწუთიერო მომენტებს. ხელოვნება უდიდესი საიდუმლო წყაროა, სიყვარულის, სილამაზის, შთაგონების, ის მრავალფეროვანია, ყველგან არის *,,ბევრი ცხოვრების რგოლია, რომელიც გადაჯაჭვულია, გადაბმულია ერთმანეთზე, რაც გონებაში მოგონებების აზრების ვიზუალურ სახე ხატს ქმნის"*[21][ვ. ბუღაძე] ეს სახე ხატი იკინძება, მუშავდება, ფერადდება და იქმნება ხელოვნება, რომელიც ერწყმის სამყაროს, რომელიც გვესაუბრება საკუთარი ენით, სახით, რომელიც ურთიერთქმედებს ადამიანთან, მის ხასიათთან, გონებასთან, ხელოვნება, რომელიც მრავალფეროვანი, მრავალშრიანი და განზომილებიანი ფენომენია, ხელოვნება, რომელიც არტისტული ენერგიის, ექოს, გონის სახე ხატს ქმნის.

სწორედ ხელოვანი ახერხებს და ,,არტის'' წყალობით აცოცხლებს *,,მივიწყებულ წარსულსა და აქტუალურ აწმყოს",*[22] [ხ.ხაბულიანი] ასახვის ობიექტად, მატერიად აქცევს ისტორიას, გარემოს, ყოფას, ეპოქალურ სახეს თუ დრამას. ყოველი არტისტი

[21] ვახო ბუღაძე
[22] ხათუნა ხაბულიანი

ისწრაფვის, რომ გააფართოვოს  თავისი მსოფლმხედველობა, მოახერხოს  მაყურებელს გაანდოს თავისი სათქმელი, შეძრას, გაუღვივოს ფიქრი, მანევრირებს ყველა ხერხით, იყენებს შესაძლებლობას, რომ ხორცი შეესხას ნამუშევარს. ზემოქმედებს ემოციურად, საზრისის თვალსაზრისით, გონისმიერი თვალსაზრისით, ცდილობს გასცდეს საზღვრებს, სიაშკარავე შეჰმატოს წყვდიადით მოცულ გარემოს.

თანამედროვე ქართველ  მხატვრებს შორის  სწორედ ვახო ბუღაძისა და ლევან ხარანაულის შემოქმედება  აღიქმება პირადად ჩემთვის უფრო ახლოდ უფრო ემოციურად, ორივე მხატვარი ერთ პერიოდში მოღვაწეობდა და აგრძელებენ ამ პროცესს თუმცა  უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებნულად აღიქვამენ, განსხვავებულად გადმოსცემენ და აწვდიან მაყურებელს თავის ,,სიტყვას'', მკვეთრად მანევრირებენ შემოქმედებითი ინდივიდუალურობით. სტილისტური კონცეფცია, შემოქმედების სიუჟეტური გადაწყვეტის პრინციპი და ინდივიდუალისტური შესრულების მანერა, ფორმები, კოლორიტი განსხვავებული შტრიხები, პირადად ჩემთვის უახლესი ისტორიის გზაზე ერთ-ერთი გამორჩეული და მაღალმხატვრული ღირებულებისაა.. სწორედ მათ მიერ შექმნილი  ხელოვნება და თავად ეს  ხელოვანები,  ცდილობენ და ახერხებენ  კიდევაც *,,მივიწყებული წარსულისა და  აქტუალური აწმყოს გაცოცხლება რესტავრაციას''..* ეს არის  ხელოვნება, რომელიც სრულად გნუსხავს, წარმოქმნის ინდივიდუალურ აზრებს, ემოციებს, რწმენას ან იდეებს შეგრძნებების მეშვეობით. კომპოზიციები,რომლებიც  იდეურად მაღალ მხატვრული ღირებულებისა და ესთეტიკის ნიშნებით არის გაჯერებული, მოგონებებზე სულიერ მდგომარეობასა თუ განწყობილებაზე არის ორიენტირებული, გრძნობით გამთბარია ფიქრიანია ამას კი აძლიერებს  კოლორიტით თამაში, ჰაეროვანი,დენადი ტონები, ფერის სინატიფე და მეტყველი ხასიათი, რომელიც თითქოს ბგერების, სიტყვების კორიანტელს ქმნის .. ტრანსფორმირებული სახე ხატი ცხოვრებისა, ყველაფერი დიდ გავლენას ახდენს მაყურებელზე, გვაბრუნებს მისტიკურ სამყაროში, ვუჩინარდებით  ირეალურ სივრცეში, ვუმზერთ და წარმოგვიდგება სიზმრისეული, ილუზიური, აბსტრაქტული სახე-ხატი, რომელსაც ამოუცნობ,  მოულოდნელ, ირეალურ, მაგრამ ამავდროულად ამბებით, მოგონებებით და ისტორიებით გაჯერებულ თუ ხორცშესხმულ  გარემოში გადავყავართ და განცდების, ემოციების მორევში გვითრევს..

ვახო ბუღაძე და ლევან ხარანაულის შემოქმედება მართლაც მაღალმხატვრული ღირებულებისაა, რომელიც ემოციური ჯაჭვით არის გადაბმული ერთმანეთზე, სწორედ ეს ერთიანობა და კავშირი შესაძლებლობას გვიქმნის და საშუალებას გვაძლევს აღვიქვათ და დავინახოთ ის მთავარი და საერთო ღირებულებები, რომლებიც უზადოდ მაღალ ემოციურ სტანდარტებზე არის დაფუძნებული, თუმცა ორივე შემოქმედმა მოახერხა ახალი სიტყვის თქმა და გამოხატვის ისეთი ფორმის მოძებნა, რომელიც რაც შეიძლება მკვეთრად გამოხატავდა მათ ინდივიდუალობას და იმ სამყაროს, რომელსაც თავად აღიქვამენ. მხატვრისთვის ხომ უმთავრესი შემფასებელთან კავშირია და იმ გრძნობების, ემოციების სულიერი მდგომარეობის თუ განწყობილების მნიშვნელოვანების ჩვენება მათთვის, რომელიც ყოველთვის პოულობს ადგილს მათ შემოქმედებაში, ხელოვანი კი ფუნჯის საშუალებით აფიქსირებს, აღწერს ყოველ ისტორიას და მართლაც *,,დედამიწაზე ხომ არსებობს ფუნჯები, რომლებიც ჩვეულებრივ ფარავენ ყველაფერს რაც სითბოთი და სიყვარულით არის შეფუთული და აქცევენ ჩვენ სამყაროს მრავალფეროვან, ნათელ სივრცეებად".*

# ბიბლიოგრაფია


- არტურ კ. დანტო, ხელოვნების დასასრულის შემდეგ, თანამედროვე ხელოვნება და ისტორიის მიჯნა; თბილისი 2013;
- ჟურნალი არილი N6, თბილისი 2001;
- ჟურნალი ბომონდი №7, თბილისი 2015;
- ჟურნალი ბომონდი, ექსპერიმენტის გზა, №10, თბილისი 2012;
- გაზეთი 24 საათი, ,,ხარანაულები'', №13- №44, თბილისი 2013;
- მერილინ სთოქსთედი, მაიკლ ვ.ქოთრენი, ხელოვნების ისტორია მე-18 საუკუნიდან დღემდე; თბილისი 2017;
- ჟურნალი NARGIS GEORGIA, გაზაფხული №2, მხედრების და კინოს მხატვარი, თბილისი 2015;
- ჟურნალი პრაიმტაიმი, ლევან ხარანაული, მხატვრის საუბარი საკუთარი შემოქმედებისა და ოჯახის შესახებ, №28, თბილისი 2011
- ჩვენი მწერლობა, პორტრეტი ღია სარკმლის ფონზე, , №4, თბილისი 2014;
- ჟურნალი ფოკუსი (FOCUS), თბილისი 2015 წელი;
- ხათუნა ხაბულიანი, სადისერტაციო ნაშრომი ,,ვიზუალური ნიშნების ტრანსფორმაცია, მხატვრული ფორმები და კონცეფციები პოსტმოდერნისტული ხელოვნების ქართულ ვერსიაში", ქ.თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016 წელი.
- ხათუნა ხაბულიანი, რეცენზია ,,ვახო ბუღაძის სერია ,,იპოდრომი'' ისტორია და მეხსიერება ფერწერაში, თბილისი 2014 წელი http://arilimag.ge/%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9D-%E1%83%91%E1%83%A3/
- ხათუნა ხაბულიანი- XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნება და მისი ისტორიული კონტექსტები
- https://www.facebook.com/pg/vakhobugadze/photos/?tab=albums&ref=page_internal.

- https://vandaart.gallery/vakho-bughadze/
- https://burusi.wordpress.com/2009/05/03/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91/

## თავი I - ,,ჩაძირული'' (ილუსტრაცია №1)

[23]




[23] ვახო ბუღაძის პერსონალური ალმბომიდან

თავი I- (1.2) (ილუსტრაცია №2)

თავი I- (1.2) - (ილუსტრაცია №3)

თავი I- (1.2) - (ილუსტრაცია №4)

თავი I- (1.2) - (ილუსტრაცია №8)

თავი I- (1.2) - (ილუსტრაცია №10)

თავი I- (1.2) - (ილუსტრაცია №12)

თავი I- (1.3) - (ილუსტრაცია №13)

თავი I- (1.3) - (ილუსტრაცია №14)



თავი I- (1.3) - (ილუსტრაცია №15)

თავი I- (1.3) - (ილუსტრაცია №16)

თავი I- (1.3) - (ილუსტრაცია №17)[24]



[24] ჟან პიერ ვაზარელი -https://www.masterworksfineart.com/artists/yvaral/artwork/marilyn-numerisee/id/w-4889

თავი I- (1.3) - (ილუსტრაცია №18)

თავი I- (1.3) - (ილუსტრაცია №20)



თავი I- (1.3) - (ილუსტრაცია №26)



თავი I- (1.3) - (ილუსტრაცია №27)

თავი I- (1.4) – (ილუსტრაცია №28)

თავი I- (1.4) – (ილუსტრაცია №29)

თავი I- (1.5 ) – (ილუსტრაცია №31)

თავი I- (1.5 ) – (ილუსტრაცია №32)

თავი I- (1.5 ) – (ილუსტრაცია №33)

[25]

[25] https://hirshhorn.si.edu/explore/ron-mueck-untitled-big-man/

26

[26] https://www.themodern.org/benefits-supervisor-sleeping

თავი I- (1.5 ) – (ილუსტრაცია №37)





თავი I- (1.5 ) – (ილუსტრაცია №39)



თავი II (ილუსტრაცია №42)[27]

[27] სალვადორ დალი https://www.moma.org/collection/works/79018



თავი II (ილუსტრაცია №46)

თავი II (ილუსტრაცია №47)



თავი II (ილუსტრაცია №48)

თავი II (ილუსტრაცია №49)





[28]

[28] ვინსენტ ვან გოგი -https://www.metmuseum.org/art/collection/search/436533